საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 10 ოქტომბერი, 2014 წელი.

№208 (7589)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვინ წარმოიდგენდა ოცდახუთიოდე წლის წინათ, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა...

3

ვინ იფიქრებდა ორი წლის წინათ, რომ ნაციონალები ისევ თავზე დაგვასხდებოდნენ

ილია მეორე: გმადლობთ შენ, ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, რომ ქართველი ხალხი თავის სულიერ ტაძარს აშენებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ მახათას მთაზე , ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში გუშინ პარაკლისი გადაიხადა.

პარაკლისს ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, დედაქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე.

პარაკლისის დაწყებამდე უწმინდესმა მრევლს ქადაგებით მიმართა და უფალს მადლობა გადაუხადა, რომ მრავალი გაჭირვების მიუხედავად მრევლი ტაძარს აშენებს.

„ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისთვის. უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა ააშენოს თავისი სულიერი ტაძარი გულში. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ერი მიდის წინ და ამის მაგალითია ღვთისმშობლის დიდებული ტაძარი. ეს ტაძარი შენდება ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე“.

უწმინდესმა ქადაგებისას ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ისტორიაც გაიხსენა, თუ როგორ მივიდა ზღვით ათონის მთაზე ხატი, რომელსაც ნათლის სვეტი ადგა. პატრიარქმა გაიხსენა წმინდა ქართველი ბერები, რომლებიც ათონის მთაზე მოღვაწეობდნენ და დაკავშირებული არიან აღნიშნულ ხატთან, კერძოდ წმინდა ბერი გაბრიელი, რომელმაც ზღვაზე ისე გაიარა ფეხით, როგორც ხმელეთზე და ხატი ნაპირზე გამოაბრძანა. პატრიარქმა ქადაგებისას მიმართა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს „ღირსი გაგვხადოს სასუფევლის“.

„მადლობა ყოვალდწმინდაო ღვთისმშობელო, შენი დიდი მფარველობისთვის, შენი დიდი წყალობისთვის. მიუხედავად ჩვენი ცოდვებისა, ღირსი გაგვხადე ჩვენ სასუფევლისა. გმადლობთ შენ ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, რომ ქართველი ხალხი აშენებს თავის სულიერ ტაძარს და მასთან ერთად მატერიალურ ტაძარს“, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

ხელისუფლების საყურადღებოდ!

5

მთა მშველელს ელის!

ვინ რამდენ ფულს შოულობს საქართველოში?

4

პროფესიები, რომელთა ანაზღაურება 1 500 ლარს აღემატება



ხალხს არაფერი ავიწყდება!

ისიც კი, მეოცნებეებმა ნაცების მოსაქმებული რომ გადამალეს...

15

მაინც ვის და რატომ ათავისუფლებენ სამსახურიდან?

6

მტკვარზე დაცურებული ტივით - მსოფლიოს გარშემო

17

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრემიერი და პრეზიდენტი

ხელისუფლების შიგნით არსებულ უთანხმოებასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ „ფორბსთან“ ინტერვიუში გაკეთებული იმ განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტს „არ ჰგონია, რომ თანაგუნდელები მას ერჩოდნენ, უბრალოდ დაპირისპირების პიკი ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუებს უკავშირდება ხოლმე“.

„მე არ მინახავს ინტერვიუ, ასე რომ, ვერ გავაკეთებ კომენტარს ამის თაობაზე, თუმცა მე გეტყვით, რომ ის კითხვები, რაც არსებობდა და ზოგადად, ამაზე ჩვენ ერთხელ უკვე გავეცით პასუხი და აღარ მინდა მეორედ სასაუბრო გავხადო“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, „ჟურნალისტები ხშირად საკუთარ ინტერპრეტაციას მიმართავენ, ამიტომ მათ ვერ დაეყრდნობა და განცხადებას მხოლოდ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ გააკეთებს, თუ საჭიროდ ჩათვლის“.

◎ ინფორმაცია

განათლების სამინისტრო ბიუჯეტის 100 მილიონით გაზრდას ითხოვს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წლის ბიუჯეტში დამატებით 100 მილიონი ლარის გამოყოფას ითხოვს. პარლამენტში წარდგენილი საბიუჯეტო პროექტით უწყებას დაფინანსება ეზრდება. კერძოდ, განათლების სამინისტროსთვის მიმდინარე წელს გამოყოფილი იყო 754 300 000 ლარი, ხოლო მომავალი წლის საბიუჯეტო პროექტით, უწყების დაფინანსება 828 900 000 ლარი ხდება. თუმცა, როგორც განათლების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ განაცხადა, მათ დამატებითი თანხების მობილიზება პედაგოგთა ხელფასების გაზრდის და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით სჭირდებათ. საღინაძის ცნობით, ამ თემაზე ფინანსთა სამინისტროსთან მუშაობა მიმდინარეობს.

მაღალმთიანი სოფლების ენერგომომარაგება უმჯობესდება

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან სოფლებში 4500-ზე მეტი აბონენტის ენერგომომარაგება გაუმჯობესდა. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ინფორმაციით, კომპანია განაგრძობს ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, შედეგად კი კომპანიის აბონენტების ენერგომომარაგება უფრო საიმედო და სტაბილური გახდება.

„ამ ეტაპზე, აღდგენითი სამუშაოების შედეგად, ელექტროენერგიის მიწოდება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცაგერის რაიონის სოფლებში ოფიტარასა და საირმეში, ონის რაიონის სოფლებში ღებსა და ჭიორაში, აგრეთვე ლენტეხის რაიონის სოფელ ხოფურში. აღნიშნულ სოფლებში განახლდა ქსელის ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა ახალი სადენები და გამოიცვალა ამორტიზებული ბოძები“, — ნათქვამია კომპანიის ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ზამთრისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, რაჭა-ლეჩხუმის მაღალმთიან ზონაში, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახური განაგრძობს 6 კვ ძაბვის ქსელის იმ მონაკვეთების შემოვლასა და გასუფთავებას, რომლებიც რთულ რელიეფზე და ტყით დაფარულ ზონებში გადის. შედეგად, ელექტროენერგიის მიწოდება უფრო საიმედო გახდება ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდასა და მის მიმდებარე სოფლებში.

უახლოეს მომავალში კი ხარაგაულის მომსახურების ცენტრის ტექნიკური სამსახური 10 კვ ფიდერ „ხევის“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაასრულებს. პროექტი გადამცემი ხაზის 600 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. სამუშაოების ფარგლებში დამონტაჟდება ახალი საყრდენები და შეიცვლება 1200 მეტრის სიგრძის სადენი. ფიდერი „ხევი“, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 9 სოფლის 1300 აბონენტს აწვდის ელექტროენერგიას.

რუსეთის მოსახლეობა მტრად არ მიგვიჩნევს

რუსეთში საქართველოს ქვეყნის მტრად მხოლოდ გამოკითხული მოსახლეობის 1 პროცენტი მიიჩნევს. ამის შესახებ მედია იუწყება. გაზეთა.რუ-ს ინფორმაციით „თუ 2008 წელს იგივე გამოკითხვაში საქართველო, აშშ-სთან ერთად, რუსეთის მოსახლეობას შორის პირველ ადგილს იკავებდა მტრულად განწყობილი ქვეყნების რეიტინგში და რესპონდენტთა 25% მტრად მიიჩნევდა, ახლა ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1 პროცენტია“, — ნათქვამია გაზეთა.რუ-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვით, რესპონდენტთა დიდი ნაწილი რუსეთის დიდ მეგობრად მსოფლიო არენაზე ჩინეთს მიიჩნევს, რომელსაც გამოკითხვაში ბელორუსი და ყაზახეთი მოსდევს.

გამოკითხვის თანახმად, შედარებით შემცირდა კეთილგანწყობა გერმანიის მიმართ. თუ 2008 წელს გამოკითხული მოსახლეობის 17% გერმანიას ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ მიიჩნევდა, წელს ასე მხოლოდ რესპონდენტთა 2% ფიქრობს.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული მონაცემებით, ანტირეიტინგში პირველ ადგილს აშშ იკავებს. რესპონდენტთა 73 პროცენტი ამერიკას რუსეთისადმი ყველაზე მტრულად განწყობილ ქვეყნად მიიჩნევს, გამოკითხულთა 32 პროცენტი კი ფიქრობს, რომ ყველაზე დიდი რუსოფობი ქვეყანა უკრაინაა.

რუსეთისადმი არამეგობრულად განწყობილ ქვეყნების ხუთეულში ასევე მოხვდნენ დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, კანადა და საფრანგეთი.

◎ დარგი — სოფლის მეურნეობა

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სოფლის მეურნეობა კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად რჩება — სექტორის განვითარებისთვის მიმართულია მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის სამი პროცენტი. საინტერესოა, თვალი გადავავლოთ ამ დარგში მომავალი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ცვლილებებს. სოფლის მეურნეობა განვითარდება ოთხი პროგრამის მეშვეობით: **1) სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა; 2) სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა; 3) მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება და 4) სოფლის მეურნეობის**

დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება.

აღნიშნული დარგის 2015 წლის ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, 10 პროცენტით გაიზარდა და 291 მილიონი ლარი შეადგინა. დაფინანსების წყარო იქნება როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი ქვეყნების მიერ გაცემული სესხები და გრანტები, კერძო ინვესტიციები. მომავალი წლისთვის გრანტის მოცულობა 700 ათასით, ხოლო კრედიტის 30 მილიონი ლარით განისაზღვრა.

ყველაზე მოცულობითი არის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, რომელიც რამდენიმე ქვეპროგრამას მოიცავს (სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავება და მართვა, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში, სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები, შეღავათიანი აგროკრედიტები, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა, აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა). პროგრამის დაფინანსება 230,215 ათასი ლარით განისაზღვრა (9-პროცენტიანი მატება, წინა წელთან შედარებით).

ცალკეულ ქვეპროგრამებში 2015 წლისთვის გათვალისწინებულია გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, შემცირდა აღნიშნული პროგრამის ზოგიერთი ქვეპროგრამა. მაგალითად, 8 პროცენტით შემცირდა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში; 43 პროცენტით შემცირდა შეღავათიანი აგროკრედიტების ქვეპროგრამა, რაც, სამინისტროს თქმით, ოპტიმიზაციით არის გამოწვეული. ამ მხრივ, სასურველია, რომ დაფინანსების სტრუქტურაში თანდათან გაიზარდოს კერძო ინვესტიციების წილი სხვა დაფინანსების შემცირების ხარჯზე. თუმცა, სადავოა, რამდენად არის დარგი მზად იმისთვის, რომ სუბსიდირებული სესხები კერძო ინვესტიციებით ჩანაცვლდეს. 2015 წლისთვის 3,5-ჯერ გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები — ამ მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსება 4,320 ათას ლარს გაუტოლდა. ორჯერ არის გაზრდილი სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება, რაც მისასალმებელია, რადგან დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ტრენინგების, საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების გააქტიურება, რის შედეგადაც დაიხვეწება სასოფლო-სამეურნეო სისტემა და დარგი ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდება.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● როგორც ამერიკას მიაშურა ოდესღაც ყველა უპატრონომ, უქონელმა, ქვებუდანმა, თავხედმა, ავანტიურისტმა, ყალთაბანდმა, გაღლეტილმა... ისე შეაფარა თავი ჩამოთვლილმა კატეგორიამ, სამი წლის წინათ „ქართულ ოცნებას“.

ამიტომაც მივიღეთ ამერიკასავით სანიმუშო, სასიქადულო, სრულქმნილი პარლამენტი და მთავრობა.

● ქალები ასაკს რომ იპარავენ ის არ გვეყოფა?!. ახლა გოჭებიც დაიწყებენ პრანჭვას — რას ამბობთ, რა დროს ჩემი ერთი წელიაო!..

● აი იმ პუტინის დედა ვატირე, კობა ხაბაზის სალაპარაკო რომ გახდება!

ლავროვ, გეყურება?!

● მითხარი ვინ არის შენი თანაგუნდელი და გეტყვი ვისი თანაგუნდელი ხარ შენ.

● თუ „უფრო და უფრო და კიდევ უფრო დაახლოების“ (ევროკავშირთან და NATO-სთან) ზღვარი ან პიკი, როგორც ბუნებამ დააწესა, სქესობრივი აქტია, ხომ იმთავითვე ცხადია, ვინ ვის „უაქტებს“?!

● ძლივს მქონდა დამახსოვრებული რასმუსენი და ახლა სტოლტენბერგი უნდა ვიმახსოვრო.

ნუთუ აპატურაიც უნდა დავივიწყო?

● ოცნება! გამეცით პასუხი ამ კითხვაზე და თქვენზე ცუდს აღარ დავწერ როგორ მიმდინარეობს მუშაობა 24-საათიან რეჟიმში, „პერერივებიც“ მაგ დროში შედის? რამდენჯერ აქვთ? უძილობისაგან არ რეკავენ? ცოლები არ უპროტესტებენ?

● დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ და აყვავებულ ქვეყანაში თავის ნებაზე გოჭის დაკვლის უფლებაც არა ჰქონდათო, — დანანებით იტყვის ოდესმე მემატიანე.

● ნეტავ დღეს რას გრძნობს კაცი, რომელმაც სამი წლის წინათ თქვა, ვგრძნობდი, რომ სამშობლო მეკარგებოდაო?..

● მაღალჩინოსანი — ძველი შუმერული სიტყვაა და დიდ პრემიებს ნიშნავს.

● სულიერი სიმშვიდე ადამიანის საუკეთესო მდგომარეობაა. ამ მდგომარეობაში ადამიანი ყველაზე ძლიერი და კეთილია.

სიმშვიდე სწორ არჩევანს მოაქვს.

ჩვენ მთელი ცხოვრება არჩევანს ვაკეთებთ ყველგან და ყველაფერში. ამაში მდგომარეობს ჩვენი თავისუფლება... ვფორიაქობთ, ვღელავთ, ვფიცხდებით მაშინ, როცა დილემის წინაშე აღმოვჩნდებით, როცა არ ვიცით, რა გზას დავადგეთ. მერე რაღაცას ვირჩევთ და მაინც ვაგრძელებთ ბორგვას, რადგან არ ვიცით, სწორად მოვიქეცით თუ არა.

არჩევანი ერთადერთ შემთხვევაშია სწორი: როცა შენ ყოველგვარი ანალიზის, ეჭვის გარეშე, უალტერნატივოდ, დაუფიქრებლად იღებ გადაწყვეტილებას, როცა თვლი, რომ არჩევანი არა გაქვს, რადგან სხვაგვარად მოქცევა არ შეგიძლია!

სწორედ ამ დროს გეუფლება საოცარი სულიერი სიმშვიდე და მთელი არსებით გრძნობ საკუთარ სიძლიერეს... უბედნიერესი წამებია...ეს ის იშვიათი მდგომარეობაა, როცა ისიც არ გაწუხებს, ვინმეს ჭირდები თუ არა, რადგან შენ თვითონ გჭირდება შენი თავი ასეთი — ამაყი, ძლიერი, მიმტევებელი, მშვიდი, თუნდაც რამოდენიმე წამით...

მაშინ ხარ ადამიანი...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

„ოცნებავ“, ფრთხილად!..

ვინ იფიქრებდა...

ვინ იფიქრებდა, რომ ამის შედეგად რუსეთის და ყველა დამოუკიდებლობამიღებული რესპუბლიკის ეკონომიკა დაინგრეოდა. და დაინგრეოდა ამერიკელი „მრჩევლების“ მიერ რეკომენდებული „რეფორმების“ შედეგად (თუ ვინ ჩაიგდო ხელში რუსეთის მთელი სიმდიდრე, ყველასათვის ცნობილია, ამაზე არ შევჩერდები, მხოლოდ ერთს ვიტყვი — ამ დამაქცევარ, „პრიხვატიზაციად“ ცნობილ რეფორმებს მხოლოდ ბელორუსი გადაურჩა. გლობალისტების მიერ „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“ შერაცხილმა ლუკაშენკომ, დასავლეთის არნახული ზეწოლის მიუხედავად, ბელორუს ხალხს არ გაუყიდა არაფერი და წარმოუდგენელი რამ შესძლო — ენერგორესურსების(!) არმქონე სახელმწიფოში ყველა სხვა დანარჩენ რესპუბლიკაზე მაღალი ცხოვრების დონე დაამკვიდრა. ეს ნათლად მეტყველებს პიროვნების გადამწყვეტ როლზე ყველგან და ყველაფერში, და უპირველესად, ხელისუფლებაში);

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ტალღაზე მოსულ ხელისუფლებას ერთ წელიწადში დავამხობდით — სამოქალაქო ომს გავაჩაღებდით და პირველ პრეზიდენტს მოვკლავდით;

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი უბედურებების წამომწყებ, „თეთრ მელად“ წოდებულ შევარდნაძეს უსისხლოდ მოვიშორებდით;

ვინ იფიქრებდა, რომ „ვარდების რევოლუციით“ შევარდნაძის დამამხობელი, დასავლეთში განათლებამიღებული, იქაურ ღირებულებებს ნაზიარები და ევროპული ენების მცოდნე სააკაშვილი ასე ღვთის რისხვად მოევლინებოდა საკუთარ ხალხს და უმოწყალოდ გაუსწორდებოდა მას ცხრა წლის მანძილზე;

ვინ იფიქრებდა, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნება“ თვალს დახუჭავდა გაყალბებებზე, ნაცმოძრაობას გაურიგდებოდა და დეპუტატობის მანდატების 57/43-ზე პროპორციით განაწილებაზე მოილაპარაკებდა მასთან ;

ვინ იფიქრებდა, რომ ნაცმოძრაობის(!) მიერ შერჩეულ კადრებს პროკურატურა-სასამართლოში, პოლიციასა თუ ჯარში ხელს არ ასლებდნენ, ხოლო „ქართული ოცნების“ მომხრეებს, აქტიურ მხარდამჭერებსაც კი პირში ჩალაგამოვლებულებს, უსამსახუროდ დატოვებდნენ;

ვინ იფიქრებდა, რომ გამარჯვების სულისჩამდგმელი მილიარდერი და პრემიერ—მინისტრად დანიშნული ივანიშვილი თავის უპირველეს დაპირებას, სამართლის მყისიერად აღდგენის თაობაზე, პატიმრების ამნისტიით დაიწყებდა (ოპერატიულად და ყველას გასახარად) **და ამის იქეთ საქმე წინ აღარ წაიწევდა** (უდანაშაულოდ დასჯილებს პატიმრობას არ მოუხსნიდნენ, დამნაშავე მოსამართლეებს პასუხს არ მოსთხოვდნენ, 20 000 ქონებაწართმეულიდან ქონებას არავის არ დაუბრუნებდნენ და კიდევ ბევრი სხვა), **ხალხს კი წარბშეუხრელად ეტყოდა: რაც დაგპირდით, იმაზე მეტი შეგისრულეთო(!);**

ვინ იფიქრებდა, რომ სააკაშვილის იმპიჩმენტის ნაცვლად „ოცნება“ კრიმინალური ნაცმოძრაობის გადარჩენას და ნაცდეპუტატებთან კოჰაბიტაციას დაისახავდა მიზნად, თავად სააკაშვილს კი, დაპატიმრების ნაცვლად, უპრობლემოდ დაულოცავდა გზას დასავლეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ;

ვინ იფიქრებდა, რომ დამნაშავე და არჩევნებში დამარცხებული ნაცები ისე გათავხედდებოდნენ, რომ მორალის კითხვას დაგვიწყებდნენ და აქეთ გადმოვიდოდნენ შეტევაზე, „კმარას“ ტიპის „თავისუფალ ზონას“ შექმნიდნენ და მუქარასთან ერთად ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც გაგვიბედავდნენ ძველებურად, ხელისუფლებას კი ნიშნის მოგებით ეტყოდნენ: თუ შნო გაქვთ დაგვიჭირეთ და დაგვიმტკიცეთ დანაშაული;

ვინ იფიქრებდა, რომ ნაცები, ამჟამინდელ ხელისუფლებას ღარიბაშვილის მეთაურობით (მათი ბავშვობის თუ იდეოლოგიური მეგობრების — მარგველაშვილ-უსუფაშვილ-ალასანიას გამოკლებით, ცხადია!) **უუნაროს უწოდებდნენ და გადაგდებითაც დაემუქრებოდნენ არჩევნებიდან რამდენიმე თვეში;**

ვინ იფიქრებდა, რომ მატროსოვის ციხეში მყოფ რამდენიმე ნაცს (მერაბიშვილი, ახალაია, უგულავა) არც მნახველი მოაკლდებოდა (ნათესავ-მეგობარ-თანაპარტიელი, ჟურნალისტი თუ „შეშფოთებული“ უცხოელი), **არც ტელეფონ-რადიო-ტელევიზორ-კომპიუტერი** (ინტერნეტ-ფეისბუქი), **მაშინ, როცა თავად ტუალეტის ქაღალდსაც(!) ვერ იმეტებდნენ პატიმრებისთვის, როცა პატიმრებს სასტიკი წამებით და გაუპატიურების გზით** (ხელჯოხით, სკამის ფეხით, ბოთლით, ცოცხით თუ „ქათმების“ საკანში შეგდებით) **„არჯულებდნენ“;**

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი უდანაშაულო ახალგაზრდების თუ სამხედროების, მეცნიერების, დიპლომატების, ბიზნესმენების, ოჯახების გაუსამართლებლად ქუჩაში, საპატიმროებში თუ საკუთარ სახლებში ჩამოცავი, საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედის (300 ათასი პრობაციონერი, 20 ათასი ქონებაწართმეული, 30 ათასი პატიმარი ოჯახებიანად) **გამაუბედურებელი, პარტია ნაცმოძრაობად წოდებული ნაცბანდა, არ გასამართლდებოდა;**

ვინ იფიქრებდა, რომ ყველა ტელევიზია („ობიექტივის“ გარდა) გარუსთავ-2-დებოდა, ანუ განაცისტდებოდა, გნებავთ, გამიშისტდებოდა (მეტ-ნაკლებად და არაუანგაროდ, ცხადია!) და ნაცების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებით იქნებოდა დაკავებული;

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ნდობით აღჭურვილი, ვაუკაცობაზე თავისდამდები დეპუტატები პედერასტების გაჯეჯილების კანონს დაუჭერდნენ ერთხმად მხარს;

ამერიკა-ევროპის ორმაგი და ოთხმაგი სტანდარტების თაობაზე კარგა ხანია, ცნობილია, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი 1999 წლიდან, იუგოსლავიის დაბომბვის (და შემდგომ მსოფლიოში გაჩაღებული ომების) დროიდან გახდა თვალშისაცემი, მაგრამ მაინც...

ვინ იფიქრებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის სახელმწიფო ტერორს ჩვენი „მეგობრები“ გულგრილად დააკვირდებოდნენ 9 წლის განმავლობაში (ცალყბად და კანტიკუნტად გამოთქმული „შეშფოთებები“ სააკაშვილის წახალისება იყო და არა ადეკვატური რეაგირება) **და, დღეს კი, ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ სამართლის აღდგენის გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს** (სამწუხაროდ, ერთობ გაუბედავს!) **— მერაბიშვილი-ახალაია-უგულავა-სააკაშვილის წინააღმდეგ წამოწყებულ სასამართლო პროცესებს საპროტესტო განცხადებებით და რეზოლუციებით შეხვდებოდნენ** (მეორე მხრივ, სხვაგვარი მოლოდინი რატომ უნდა გვქონოდა ან მომავალში გვქონდეს — მათ ხომ ასობით ნაწამები და დახოცილი ადამიანის არც ერთი ოჯახისთვის სიტყვიერადაც არ მიუსამძიმრებიათ, და მამალი, უკაცრავად, დედალი ნაცის — ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირის მოსანახულებლად კი პირადად ეწვივნენ მას ოჯახში!).

ვინ წარმოიდგენდა ოცდახუთიოდე წლის წინათ, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა...

კარგად ვიცი, თუ რა ახსნას მოუძებნიან ოცნების თავგადადებული მომხრეები ამ და სხვა, ზემოთ გამოტოვებულ ბევრ „ვინ იფიქრებდა“-ს. ყველაფერს დასავლეთს გადააბრალებენ, და ეს არც იქნება ჭეშმარიტებისგან შორს, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ სხვის ჭკუაზე დადის და არად აგდებს საკუთარი ხალხის ინტერესებს, სიმპათიას და პატივისცემას არ იმსახურებს არავისგან, არც შინ და არც — გარეთ! ნამეტანი წაწოლა და ღირსების დაკარგვა მხოლოდ ზიზღს იწვევს ყველაში! რაც უფრო მეტად წავუხრით თავს (ვისაც წავუხრით, მნიშვნელობა არა აქვს), მით უფრო ადვილად გვიხმარენ, ეს აქსიომაა, ამას მტკიცება არ სჭირდება!

ახლა მთავარი, — ნაცების მუქარაც განვიხილოთ, რამდენად რეალურია მათი ხელისუფლებაში მობრუნების საფრთხე. ისე, კაცმა რომ თქვას, წასვლით ისინი არსადაც არ წასულან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროკურატურაში, სასამართლოში, პოლიციაში, ჯარში, ადგილობრივ ორგანოებშიც (კანგამოცვლილი, „ოცნების“ კანში შემძვრალი ნაცების სახით), ძირითადად, ისევ ძველი, ნაცმოძრაობის კადრებია, და იმასაც, რომ ნაცდეპუტატებს უსუფაშვილ-ალასანიას გუნდთან ერთად (პრეზიდენტის ჩათვლით!) „ერთი ძუძუ“ აქვთ ნაწოვი, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლებო ძალაუფლებაც, მათ ხელშია! ნაცებს მხოლოდ მისი ლეგიტიმაცია, იურიდიული გაფორმება სურთ და, რაღა თქმა უნდა, კვლავ ძველებურად, ანუ განუკითხავად ქვეყნის და ხალხის საკუთარ ჭკუაზე მართვა.

ნაცები უკვე ღიად აცხადებენ, რომ დესტაბილიზაციის გზით ისინი სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ. ამ საფრთხეზე შს სამინისტრომაც მიუთითა და ბევრმა სხვა ორგანიზაციამ თუ პიროვნებამ, მაგრამ დეტალური ანალიზის ნაცვლად გვესმის მხოლოდ: აბა, ერთი გაბედონ, დედას ვუტირებთ, ხალხი გადაუვლის მაგ კრიმინალებსო და სხვა ამის მსგავსი. ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ განა რას გავხდებით, ერთ „მშვენიერ“ დღეს სააკაშვილის შეიარაღებული და სპეციალურად გაწვრთნილი ზონდერჯგუფები (ამჟამად დროებით მიძინებულნი!) ერთდროულად თავს რომ დაესხნენ სახელმწიფო დაწესებულებებს, პარლამენტს, პოლიციას (სადაც ისედაც დახვდებათ ბევრი შეიარაღებული მიშისტი პოლიციელი) და ძალაუფლება იგდონ ხელთ. შიშველი ხელები და დიდი გული გვეყოფა მხოლოდ? არც ერთი და არც მეორე არ გვაკლდა 2007—2012 წლებში, მაგრამ ტყვიებთან, გაზთან და მეტალისგარსიან ხელჯოხებთან მაინც ვერაფერს გავხდით; გავხდით კი არა, საკუთარ სახლში ხმის ამოღების გვეშინოდა.

ამგვარ ელვისებურ ოპერაციას სრულებითაც არ სჭირდება მოსახლეობის, მით უფრო, უმრავლესობის მხარდაჭერა. იქნებ, ვინმეს ჰგონია, რომ კიევში, მაიდანზე, უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობამ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და, თანაც, შიშველი ხელებით? უმრავლესობას კორუმპირებული იანუკოვიჩის გადადგომა და წესიერი ხალხის არჩევა(!) სურდა, მაგრამ არა იმ გუნდის, იმ კატეგორიის ხალხის მოსვლა, რომელსაც ამერიკა ამზადებდა წლების განმავლობაში, მილიარდებსაც ახარჯავდა და, რომელმაც სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვია უკრაინა, მოძმე ერები სამუდამოდ გადაჰკიდა ერთმანეთს, ყირიმის დაკარგვაც გამოიწვია (მომავალში, ალბათ, სამხრეთ-აღმოსავლეთი უკრაინისაც) და, ფაქტობრივად, უკრაინის სახელმწიფო დაშალა (როგორ ჩამოჰგავს 2008 წლის აგვისტოში ჩვენთან დადგმულ სცენარს).

ამიტომ, სულ ტყუილად ვიმშვიდებთ თავს, თითქოს ნაცებს მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელების შანსი არ ჰქონდეთ. რა სჭირდებათ მათ ამისათვის? ის, რაც ყველა გადატრიალებისთვისაა აუცილებელი: უპირველესად ლიდერი, ფული და შეირაღება; პროპაგანდის საშუალებაც თუ იქნა და რამდენიმე დასაყრდენი პირიც სამთავრობო რგოლში, ხომ მთლად კარგი; და გარედან მხარდაჭერის იმედიც თუა, ხომ აეწყო მაშინ ფაჩიკოს გარმონივით ყველაფერი! აქედან, რამე აკლიათ ნაცებს? აბსოლუტურად არაფერი! წარმატებისთვის მათ, ვიმეორებ, სრულებით არ სჭირდებათ უმრავლესობის მხარდაჭერა, ამ უმრავლესობას, დაპირებისამებრ, მერე მოგვხედავენ, როგორც ადრე — ზუსტად ისე, და იმაზე „უკეთესად“.

პანიკას არ უნდა მივეცეთ და პრევენციული ზომები უნდა გავატაროთ (რაც მაინცდამაინც, რაღაც არ შეიმჩნევა, ნაცების მიერ შექმნილი ორგანიზაციები კი საეჭვოდ მრავლდებიან!), მაგრამ არც ისე დასამშვიდებლად გვაქვს საქმე, როგორც ეს ზოგიერთ ექსპერტს წარმოუდგენია: „სად შეუძლია წელში გადატეხილ ნაცმოძრაობას სახელმწიფო გადატრიალება“! კი, მაგრამ რა ეტყობათ ნაცებს წელში გადატეხვის? უცხოელის თვალით რომ უყურო ჩვენს ტელევიზიებს, გადატეხილი კი არა, წელგამართული და გამარჯვებული ყველას ნაცმოძრაობა ეგონება. ყველა ეთერიდან ნაცები იმუქრებიან გადატრიალებით, ქუჩაში ფიზიკურად გვისწორდებიან, დასავლეთის პრესაში „ოცნების“ საგინებელ წერილებს ისინი აბეჭდინებენ, სახელმწიფოს მეთაურებს თავიანთთვის სასარგებლო განცხადებებს აკეთებინებენ, ევროსაბჭოში ხელისუფლების საწინააღმდეგო რეზოლუციებს აღებინებენ და, ჩვენ მაინც უნდა დავასკვნათ, რომ ნაცები გადატეხილები არიან?!

იხ. 4 გვ.

ნაცები უკვე ღიად აცხადებენ, რომ დესტაბილიზაციის გზით ისინი სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ. ამ საფრთხეზე შს სამინისტრომაც მიუთითა და ბევრმა სხვა ორგანიზაციამ თუ პიროვნებამ, მაგრამ დეტალური ანალიზის ნაცვლად გვესმის მხოლოდ: აბა, ერთი გაბედონ, დედას ვუტირებთ, ხალხი გადაუვლის მაგ კრიმინალებსო და სხვა ამის მსგავსი. ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ განა რას გავხდებით, ერთ „მშვენიერ“ დღეს სააკაშვილის შეიარაღებული და სპეციალურად გაწვრთნილი ზონდერჯგუფები (ამჟამად დროებით „მიძინებულნი“!) ერთდროულად თავს რომ დაესხნენ სახელმწიფო დაწესებულებებს, პარლამენტს, პოლიციას (სადაც ისედაც დახვდებათ ბევრი შეიარაღებული მიშისტი პოლიციელი) და ძალაუფლება იგდონ ხელთ. შიშველი ხელები და დიდი გული გვეყოფა მხოლოდ? არც ერთი და არც მეორე არ გვაკლდა 2007—2012 წლებში, მაგრამ ტყვიებთან, გაზთან და მეტალისგარსიან ხელჯოხებთან მაინც ვერაფერს გავხდით; გავხდით კი არა, საკუთარ სახლში ხმის ამოღების გვეში-

◎ ვინ რამდენ ფულს შოულობს საქართველოში?

პროფესიები, რომელთა ანაზღაურება 1 500 ლარს აღემატება

დასაქმებისა და გაწეული სამუშაოსთვის შესაბამისი ანაზღაურება საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნა საკმაოდ მაღალია და, შესაბამისად, არც ანაზღაურებაა ურიგო.

სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში დაქირავებით დასაქმებული მოხელეებიდან ყველაზე მაღალი ანაზღაურება საფინანსო სფეროში დასაქმებულ პირებს აქვთ (1600-დან 1800 ლარამდე), ყველაზე მცირე საშუალო ხელფასი კი განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ პირებს.

გარდა ოფიციალური მონაცემებისა, რომელსაც სტატისტიკის დეპარტამენტი ავრცელებს, კერძო სექტორში მოთხოვნადი სპეციალობებით, რომელთა კვალიფიციური კადრები 1500 ლარზე მეტ საშუალო თვიურ ანაზღაურებას იღებენ.

აღმოჩნდა, რომ IT მენეჯერებზე საქართველოში მაღალი მოთხოვნაა და კვალიფიციური კადრის შემოსავალი მინიმუმ 1 500 ლარია. აღსანიშნავია, რომ ეს სპეციალობა მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. მაგალითად, ევროპასა და აშშ-ში კომპიუტერული და საინფორმაციო სისტემების მენეჯერების წლიური შემოსავალი დაახლოებით 125.600 დოლარს შეადგენს.

საქართველოში პროფესიონალთა შემოსავალი 1 500 ლარს აჭარბებს მარკეტინგის მენეჯერების შემთხვევაშიც. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, წარმატებულ კომპანიაში დასაქმებული მარკეტინგის მენეჯერების ანაზღაურებაში 1 500 ლარი ქვედა ზღვარიც კია. რაც შეეხება ქართველი მარკეტოლოგების ევროპელსა და ამერიკელ კოლეგებს, ბუნებრივია, მათი შემოსავალი ბევრად უფრო შთამბეჭდავია; ბოლო მონაცემებით, ევროპასა და აშშ-ში მარკეტინგის მენეჯერების წლიური შემოსავალი დაახლოებით 126.196 დოლარია.

ჩვენი მოკვლევის მიხედვით, საქართველოში, გარკვეულ შემთხვევებში, 2 000 ლარზე მეტია აუდიტორულ კომპანიებში დასაქმებულ აუდიტორთა შემოსავალი – ცხადია, გამოცდილებისა და სამუშაო სტაჟის შესაბამისად.

აღმოჩნდა, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პერსონალია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები, რომელთა შემოსავალი როგორც სახელმწიფო უწყებებში, ასევე წარმატებულ კომპანიებში აჭარბებს 1 500 ლარს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგივე პროფესიას აშშ-სა და ევროპაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიების ათეულში ვერ ნახავთ.

ევროპის მსგავსად, ჩვენთანაც ერთ-ერთ მაღალშემოსავლიან საქმიანობად ითვლება არქიტექტურული და საინჟინრო მენეჯმენტი. მართალია ქართველი არქიტექტორების საშუალო წლიური ხელფასი მათი უცხოელი კოლეგების მსგავსად 129.350 დოლარს ვერ უტოლდება, თუმცა, ამ სფეროს მცოდნე პროფესიონალებს, რომლებიც წარმატებულ სამშენებლო კომპანიებში არიან დასაქმებულნი, საწუწუნო ნამდვილად არაფერი აქვთ საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პროფესია, რომელიც ევროპისა და აშშ-ის მასშტაბით ყველაზე მაღალანაზღაურებადად მიიჩნევა, საქართველოში დაუფასებელია, ან საერთოდ არ არის ათვისებული. მაგალითად, სამრეწველო ორგანიზაციული ფსიქოლოგები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მენეჯერები აშშ-სა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი კადრები არიან. თუმცა იმისთვის, რომ ეს პროფესიები დაინერგოს საქართველოში, ერთ შემთხვევაში ქვეყანაში ბიზნესის კიდევ უფრო განვითარება, მეორე შემთხვევაში კი მეცნიერების სფეროს კიდევ უფრო წინსვლაა საჭირო. საბუნებისმეტყველო სფეროში დასაქმებულ მენეჯერებს წელიწადში საშუალოდ 128.230 დოლარს უხდიან, თუმცა ბევრად აღემატება აღნიშნულ თანხას მათი შემოსავალი, ვინც კოსმოსურ ინდუსტრიაშია ჩართული.

საქართველოში ასევე მაღალანაზღაურებად საქმიანობად მიიჩნევა ბუღალტერია და ზოგად ფინანსური მენეჯმენტი. ამ პროფესიის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ბუღალტრობა მოთხოვნადია არა მხოლოდ საბანკო სექტორში, არამედ ნებისმიერ კომპანიაში, საქმიანობის მიმართულების მიუხედავად. საქართველოში მსხვილ კომპანიებში დასაქმებული მთავარი ბუღალტრების შემოსავალი 2 000-დან 3 000 ლარამდეც აღწევს.

ასეთ სურათს აჩვენებს Ambebi.ge-ს მიერ ჩატარებული მოკვლევა, რაც შეეხება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ მონაცემებს, იქ მოცემულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა ანაზღაურების საშუალო თვიური მაჩვენებლები. აქ ჩამოთვლილ სფეროებს შორის არის სოფლის მეურნეობა, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, განათლება, ჯანდაცვა, სახელმწიფო მმართველობა. გარდა ამ მონაცემებისა, საგულისხმოა საჯარო სექტორში დასაქმებულ მაღალჩინოსანთა ხელფასები.

სახელმწიფო მართვის სფეროში დასაქმებულთა ხელფასები და სახელფასო დანამატების გასაჯაროებას რამდენიმე თვის წინ ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა მაშინ კონკრეტულად, მინისტრების მიერ 2013 წელს მიღებული პრემიები და სახელფასო დანამატებიც გაასაჯაროვა, რომლის მიხედვითაც ყველაზე მეტი დანამატი (83076) თავდაცვის მინისტრს, ყველაზე ნაკლები კი განათლების მინისტრს ჰქონდა (25034).

საინტერესოა ისიც, რომ პარლამენტის აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში სამოქალაქო ღონისძიებათა დაგეგმვის განყოფილების უფროსის ანაზღაურება თითქმის 3 000 ლარს აღწევს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულად 1 724 000 ადამიანი ითვლება. აქედან, თვითდასაქმებულია 1 054 000, დაქირავებით დასაქმებული კი – 662.200 ადამიანი.

სალომე შიხაშვილი

◎ „ოცნებავ“, ფრთხილად!..

ვინ იფიქრებდა...

(მესამე გვერდიდან)

ერთი ცნობილი „ხერხემალი“ ციხეშია, დანარჩენები, თურმე, ყველანი წელში გადატეხილები დალასლასებენ! დაგვიმარცხებია ბოროტება და ის არის, რაღა გვაქვს სასაყვედურო „ოცნებასთან!

მე ვიტყოდი, **უხერხემლო და პასიური სწორედ ამჟამინდელი ხელისუფლებაა და მის პირობებში ნაცებს დიდი შანსი აქვთ დანაქადი აგვისრულონ, ძველ „დემოკრატიულ“ დროში დაგვაბრუნონ.** თუმცა მოიცათ, ეგებ და, კრიზისულ სიტუაციაში ალასანიამ გამოიყვანოს ჯარი მინისტრ ზონდერებისგან და პოლიციელებისგან ხელისუფლების და ხალხის დასაცავად?! მეტი არაა ჩემი მტერი, ალასანიამ ან მარგველაშვილმა (როგორც ფორმალურმა მთავარსარდალმა!) ამერიკის უნებართვოთ თითი გაანძრიონ და ღარიბაშვილის ხელისუფლება დაიცვან. ისე, ასეთ დროს, ხშირად, გენერალიტეტი იღებს ხოლმე თავის თავზე პასუხისმგებლობას და მას გამოჰყავს ჯარი სახელმწიფოში სტაბილურობის და სიმშვიდის დასამყარებლად, მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს გამორიცხულია, საკადრო წმენდა, ნაცებისგან განწმენდა ხომ არც ჯარში არ ჩატარებულა. ამიტომ, ჯარის გამოყვანის შემთხვევაშიც ვერავინ იტყვის დარწმუნებით, თუ ვისი მხარდასაჭერი ბრძანება გაიცემა – ნაცების, ქოცების თუ იმ დროისთვის შემზადებული, ლამაზად შეფუთული ახალი, მაგრამ იგივე შინაარსის, იგივე მსოფლმხედველობის მატარებელ-გამტარებელი ძალის.

ევროკავშირი ისევ შარს გვდებს. თავის ახლანდელ რეზოლუციაში (ჩვენი ნაცების თუ ევროპის სახალხო პარტიის ინიციატივით მიღებულში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ეს არსად არ ფიქსირდება და ჩვენ ვიცით ამის შესახებ მხოლოდ, და არა დანარჩენმა მსოფლიომ) იგი გამოკვეთილი კრიმინალების – სააკაშვილის, მერაბიშვილის და ახალაიას მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნაში და უკანონო ქმედებებში გვადანაშაულებს. ჩვენი ხელისუფლება (დელეგაცია) კი, რომელსაც ხელთა აქვს ამ ვაჟბატონების მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულის დამადასტურებელი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი დოკუმენტები, პირადი აღიარებები, ათასობით ნაწამები პატიმრის ჩვენებები, იმის ნაცვლად, რომ იქეთ უტევდეს, იქეთ ადანაშაულებდეს ევროკავშირს და ყველას, ვინც წაყრუების პოლიტიკით მხარს უჭერდა ნაცმოძრაობის განუკითხაობას საქართველოში 2004-2012 წლებში, წამგებიან თავის მართლების პოზიციაში იყენებს თავს და მორიდებით ცდილობს, წაყენებული ბრალდებები უარყოს: არა, ბატონებო, ჩვენ კანონებს არ ვარღვევთ, ჩვენ პოლიტიკურ დევნას არ ვაწარმოებთ, ეს არ გვიქნია, ის არ გვიქნია და ა.შ. ამის მსგავსი.

ხელისუფლება ისეთი პასუხის გაცემასაც ვერ ახერხებს, როგორიც აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა სამედ სეიდოვმა გასცა ევროსაბჭოს, როცა საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით – „სიტუაცია **აზერბაიჯანში არადამაკმაყოფილებელია“**-ო. დელეგაციის მეთაურმა ევროსაბჭოს კრიტიკისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა და პირდაპირ განუცხადა: **„...მე კი გეტყვით, რომ არადამაკმაყოფილებელი თქვენი მოქმედებაა... თქვენი რეკომენდაციების წყალობით დაკარგა საქართველომ და უკრაინამაც ტერიტორიები და ათასობით ადამიანის სიცოცხლე, იგივე შეიძლება ითქვას მოლდოვაზეც და რატომ გგონიათ, რომ აზერბაიჯანში თქვენი რეკომენდაციები წარმატებულ შედეგებამდე მიგვიყვანს!“** ასევე გვახსოვს, თუ როგორ დასვეს ამერიკის ელჩიც თავის ადგილზე რამდენიმე თვის წინათ, როცა მან აზერბაიჯანის შინაურ საქმეებში ჩარევა განიზრახა. წარმომიდგენია როგორი იქნებოდა აზერბაიჯანის მხარის პასუხი, მასაც ჩვენნაირი სამხილები რომ სჭეროდა ხელთ და, თან, ევროპელი, კერძოდ შვედი დიპლომატის კორუმპირებულობის დამადასტურებელი საბუთებიც.

როცა ამერიკა და ევროკავშირი უმსგავსობას დემოკრატიად ნათლავდნენ წარსულში, როცა პირწავარდნილ სისხლის სამართლის დამნაშავეებს იცავენ ამჟამად, საქართველოს შინაურ საქმეებშიც უხეშად ერევიან – გვარებით გვითითებენ ვინ დაიჭიროთ და ვინ გამოვუშვათ, როცა ცამდე მართალი ხარ და მაინც გეშინია საკადრისი პასუხის გაცემის, როცა „ძებნილი“ სააკაშვილი სულ მასხრად გვიგდებს და აქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე, სარფში(!), ნაცბანდის „სხოდკას“ აწყობს საჯაროდ, ტელეგადაცემით და იქიდან გვემუქრება კიდეც, და შენ, საქართველოს ხელისუფლებავ, თითსაც არ გაანძრევ მისი ყურით ჩამოსათრევად, უსუსური და შესაცვლელი ხარ, აბა რა! არადა, რა უნდოდა ერთი ათკაციანი სპეცრაზმის სარფში გადასროლას, სააკაშვილს თუ ვერ ჩამოათრევდნენ, 2008-ში გორში დამყარებულ რეკორდს ხომ ნამდვილად გააუმჯობესებინებდნენ!

დასკვნა ერთია – **ხელისუფლება (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო) აუცილებლად შესაცვლელია, ერთი-ორი წესიერი კაცი, თუნდაც პრემიერის პოსტზე, საქმეს არ შველის.** უნდა შეიცვალოს, ოღონდ არა ისევ ნაცებით ან მათ მიერ ამერიკის ფულით დაარსებული არასამთავრობოების კადრებით, არამედ პროფესიონალი, უშიშარი და პატრიოტი ქართველებით. ამას კი აუცილებლად სჭირდება ლიდერი, საარჩევნო გარემოს და კოდექსის ძირეული ცვლილებები, და ფინანსები. მოვახერხებთ ამ პირობების დაკმაყოფილებას, მიზანსაც მივაღწევთ, არადა, ვიტრიალებთ წრეზე – ისევ შემოგვასაღებენ ანტიეროვნულ, გლობალისტურ იდეოლოგიაზე გამოზრდილ (თუ დამყნილ!), ამერიკული ინგლისურით მოლაპარაკე ცხვირმოუხოცავ ლიბერასტ ახალგაზრდებს!

იაკობ ლეჟავა,
3 ოქტომბერი, 2014

მთა მშვიდობის ელის!

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებების სრულყოფისათვის, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ უფლებათა სფეროს განეკუთვნება. ამავე დროს განსაკუთრებით დიდია მოსახლეობის მოლოდინი მთის კანონის სრულყოფისა და სამოქმედოდ ხელახლა მიღებისათვის.

მეც მინდა, როგორც მოქალაქემ და მეცნიერმა მუშაკმა მხარი დავუჭირო საზოგადოების განწყობილებას და მოკრძალებით რამდენიმე მოსაზრება-წინადადება მივაწოდო ხელისუფლების იმ წევრებს, ვისაც ახლო მომავალში ამ საშვილიშვილო დოკუმენტის საბოლოო შექმნაზე მოუწევს ფიქრი და გარჯა.

მე, როგორც მთიელ ადამიანს, ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც ინტენსიურად მესმის საქართველოს მთისა და მისი მოსახლეობის გასაჭირის შესახებ. შეიძლება თამამად ვთქვა, რომ მათი პრობლემებისადმი არასოდეს ვყოფილვარ გულგრილი.

ფშავის პრობლემები ფშაველებმა ედუარდ შევარდნაძეს 1982 წელს ჟურნალ „პარტიულ სიტყვაში“ გამოქვეყნებულ წერილში შევახსენეთ. მაშინდელი მთავრობა როგორც იქნა მივახედეთ ვაჟას მშობლიური კუთხისაკენ. ყველაზე გვიან, მაგრამ მაინც, 1990 წლისათვის უკანა ფშავში ე. წ. სამთო-სასაძოვრე სამანქანო გზა და ელექტროსინათლე მივაყვანინეთ.

საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების მაშინდელი მესვეურებისა და სხვა კეთილი ადამიანების დახმარებით ლაშარის ჯვარის საკულტო ნაგებობანიც გამოვაცოცხლეთ.

არ შეიძლება მადლიერებით არ აღვნიშნოთ, რომ 2007 წელს ფშავს საქართველოს პრეზიდენტმა ორხიდიანი ავტობუსის შესაძენად 37,500 დოლარი გამოუყო. ეს ავტობუსი დღესაც მუშაობს (შუაფხო-თბილისი).

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთიანეთს ყველგან გაუჭირდა. გახშირდა ნასოფლარები, ნასახლარები... მიგრაციის პროცესი დღესაც გრძელდება, განსაკუთრებით ხევსურეთში. მეოცე საუკუნის დასასრულს მოვლენები ისე განვითარდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე გავედით, სისხლიანი პერიპეტიების მიუხედავად შესაძლებელი გახდა 1999 წელს საქართველოს პარლამენტს სპეციალურად, ამ დარგში მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით მთის კანონი მიეღო, რომელიც მიზნად შეჭირვებული მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის ხელის შეწყობას ისახავდა.

მთის კანონის მოქმედება სულ მალე შეჩერდა იმ მოტივით, რომ იგი უფრო სრულყოფილად შემუშავებულიყო და ისე მიგვეღო. ამ ე. წ. „სრულყოფაში“, უკვე სამწუხაროდ, თითქმის 15 წელი მიიპარება.

ჩვენდა საბედნიეროდ, ღვთის წყალობით, სულ ცოტა ხნის წინათ მშობლიური მთებისკენ სერიოზულად მოგვახედა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის საშობაო ეპისტოლეში.

ეპისტოლეს წაკითხვისთანავე დავუკავშირდი საქართველოს პარლამენტის სათანადო კომიტეტის თანამშრომლებს და ვკითხე, თუ რა მდგომარეობაშია მთის კანონი და როდისთვის იგეგმება მისი მიღება-ამოქმედება. მათ თქვეს, რომ მთის კანონის პროექტი ბოლოდროინდელი შესწორებებით დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის შრომათა კრებულში. მათ ისიც აღნიშნეს, რომ კანონის მიღებამდე გათვალისწინებულია მისი საჯარო განხილვა ყველა რეგიონში. არ დამიყოვნებია და აღნიშნული შრომების კრებულში გავეცანი აქ მთის კანონის პროექტს. პროექტი პრინციპში ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, ასე თუ ისე საგრძნობლად არის მოცემული მთიანი რეგიონის პრობლემები, გათვალისწინებულია მთის მოსახლეობის გადასახადების, კომუნლალური ხარჯების შემცირების ნორმატივები. განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა მრავალშვილიან ოჯახებს, პედაგოგებს, ექიმებს და სხვა სპეციალისტების ხელფასებისა და პენსიების გადიდებას.

მიუხედავად ამისა, მინდა, რამდენიმე საკითხზე ყველას ყურადღება გავამახვილო და თუ საზოგადოება მისაღებად მიიჩნევს, ალბათ, გაითვალისწინებენ კიდეც კანონის საბოლოო პროექტში.

პირველი საკითხი. მთის კანონის პროექტში ბიუჯეტის თანხის კონკრეტული განსაზღვრის ნაცვლად ლაპარაკია იმაზე, რომ მისი მოქმედება გამოიწვევს ბიუჯეტის ზრდას, რომ ხელისუფლება შეეცდება, შეიმუშაოს მაღალმთიანი ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმშენებლობის პროგრამა, რომ ეროზირებული მიწების დაცვისა და აღდგენისათვის სახელმწიფო გამონახავს თანხებს (თავი III, მუხლი 6, 10).

ვფიქრობ, ასეთი მინიშნებები მაინც ზოგადია, რადგან სახელმწიფო-საბიუჯეტო სახსრების გამოყოფისას საჭიროა მეტი სიცხადე და მიზნობრიობა. ხომ არ შეიძლება, მთელი წლის მანძილზე ვეძებდეთ თანხებს სხვადასხვა ინსტანციაში და მხოლოდ კეთილმოსურნე ვითარებაში ვიღებდეთ სასურველ მოწყალებას? ამიტომ მთის კანონში, მეორე მუხლად უნდა შევიტანოთ: მთის ყოველწლიური ბიუჯეტი; აქ გარკვევით, ნათლად უნდა ჩაიწეროს შემდეგი: „საქართველოს მთის კანონის გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ღონისძიების პროგრამის რეალიზაციისთვის ყოველწლიურად გამოიყოფა 50 ან 100 მილიონი ლარი“.

მეორე საკითხი. საჭიროა მთის ახალ კანონში დავაფიქსიროთ, რომ შეიქმნას სახელმწიფო მართვის სუბიექტი: ან მაღალმთიანი და საზღვრისპირა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის სამინისტრო ან დეპარტამენტი (ტრადიციული კომისიები და ფონდები ვერაფერს გააკეთებენ, აქ უსუსური აღმოჩნდებიან), რომელიც, ჩვენი აზრით, უნარიანად წარმართავს საქმიანობას.

მესამე საკითხი. მთის კანონის ყველაზე მთავარ საბრძოლო ამოცანად, დამეთანხმებით, მაღალმთიან საქართველოში მიგრაციის შეჩერება და დაცარიელებული სოფლების აღდგენა უნდა მივიჩნიოთ. ეს პრობლემა კანონის პროექტში ორჯერ არის აღნიშნული. ვფიქრობთ, აქაც ტრადიციული ზოგადი განცხადებებია და უნდა დაკონკრეტდეს.

მთაში მიგრაციის შეჩერებისა და დემოგრაფიული დისბალანსის მოწესრიგებისათვის, ჩემი აზრით, საჭიროა ამ საქმეში დახმარების, სულ ცოტა სამი კონკრეტული პოზიცია. კერძოდ, კანონის პროექტის VII თავს, რომელიც წარმოდგენილია მე-10 მუხლით — „ეკონომიკის განვითარება“, აქვე, ამავე თავში უნდა დაემატოს მეთერთმეტე მუხლი სათაურით: „მოსახლეობის დემოგრაფიული დაცვა, უზრუნველყოფა“, რომელშიც ჩაიწერება შემდეგი პუნქტები:

1. მთის ზონაში არსებულ სოფლებში, სადაც დღეისათვის მხოლოდ ერთი ან ორი ოჯახიღა ცხოვრობს, სარგებლობს მთის კანონის ყველა სიკეთით და ამავე დროს მათ დამატებით ენიშნებათ ყოველთვიური ფულადი დახმარება თითოეულ სულზე საარსებო მინიმუმის სახით.

2. დაცარიელებული სოფლების აღდგენა რეალურად უნდა დავიწყოთ, მაგრამ სიცხადისთვის უნდა განვსაზღვროთ კანონში ქვეყნის მაღალმთიანი ტერიტორიის რამდენი კონკრეტული მხარე გვაქვს აღებული. მთის კანონის წინამდებარე პროექტში წარმოდგენილია 10 მხარე. მათ შორის: ზემო და ქვემო სვანეთი, ზემო და ქვემო რაჭა, ხევი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, აჭარისა და აფხაზეთის მთიანი რაიონები.

ვფიქრობთ, ეს 10 ჩამონათვალი გადახედვასა და დაზუსტებას მოითხოვს. უპირველესად მიმაჩნია, რომ ამ ჩამონათვალში გამოტოვებულია მთიულეთი და გუდამაყარი (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ამ მხარეების ცენტრი ფასანაური ზღვის დონიდან ნორმატივზე დაბლა არ უნდა იყოს, მაგრამ რა დაეშავეს ამ კუთხის მაღალმთიანმა სოფლებმა? ამაზე ცხონებულ გოდერძი ჩოხელს, ალბათ მწარედ გაეცინებოდა. პროექტში ჩვენს მაღალმთიან მხარეებში, მათთან გათანაბრებულ ზონებში შეტანილია აჭარისა და აფხაზეთის მთიანი რეგიონი. კეთილი და პატიოსანი. ამ მასშტაბით შეიძლება არა, მაგრამ მსგავსი მდგომარეობა ხომ გვაქვს მესხეთშიც, სამეგრელოშიც, კერძოდ მათი მაღალმთიანი სოფლები, ხოლო თუ აფხაზეთი შეგვაქვს, მაშინ სამაჩაბლოს, ჯავის რაიონის მაღალმთიან სოფლებს რაღას ვუპირებთ? თუ ოსები არ მიიღებენ ჩვენს დახმარებას, ეს დღეს, სამწუხაროდ, მათი ნება იქნება. არც ის არის გამორიცხული, რომ სამაჩაბლოს მაღალმთიან სოფლებში ჩასახლება იქნება უფრო იქიდან დევნილმა ქართველებმა შეძლონ და მოითხოვონ. ერთი სიტყვით, ეს საკითხი (მაღალმთიანი მხარეების განსაზღვრა) სერიოზულად გასაანალიზებელი და საბოლოოდ გადასაწყვეტია.

3. დაცარიელებული სოფლების აღდგენისათვის საჭიროა ამ საკითხის გონივრული აწონ-დაწონა და პროექტში ისე შეტანა. ჩემი აზრით, მთაში თუ ერთ დაცარიელებულ სოფელში ერთდროულად სამ კომლს მაინც ჩავასახლებთ, ეს უკვე სოფლის აღდგენაა. მთაში მცხოვრები ცალკე გასული ოჯახის ბინით მოწყობაში სახელმწიფო დახმარება მთის კანონის პროექტით განსაზღვრულია 10 ათასი ლარით, რაც ურიგო არ არის, მაგრამ ვინც ბარიდან მთაში ცოლ-შვილით საცხოვრებლად მიდის, მისთვის დახმარება ბუნებრივია, გაცილებით მეტია საჭირო. შეიძლება პირობითად, ცალკე პუნქტით ეს დახმარება ასე განვსაზღვროთ: იმ ოჯახს, რომელიც ბარიდან მიდის მთაში დაცარიელებულ სოფელში საცხოვრებლად, სახელმწიფოსგან უფასოდ უნდა მიეცეს ფინური სახლი (ან უნდა აუშენდეს სამაგიერო), 2 ფური, 10 დედა ცხვარი და დაენიშნოს დახმარება, ოჯახის თითო წევრზე საარსებო მინიმუმის სახით (ხუთი წლის ვადით).

მეოთხე საკითხი. მთის კანონის პროექტის მე-5 თავის მე-8 მუხლი განათლებას ეხება. მთლიანობაში ამ მუხლის ცხრავე პოზიცია ცხოვრებისეული აუცილებლობით არის ნაკარნახევი, აქვე მე-8 პუნქტში ლაპარაკია იმაზე, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განსაზღვროს მთაში საჭირო სპეციალისტების პედაგოგები, ექიმები, სოფლის მეურნეობის მუშაკები და სხვა რაოდენობა და უზრუნველყოს მათი მომზადება, რისთვისაც აღდგეს მთიელი აბიტურიენტებისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისათვის სპეციალური ლიმიტების გამოყოფის პრაქტიკა, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ აუცილებლად დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებსა თუ დაბებს.

მეხუთე საკითხი. მთის კანონში გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა, უპირველეს ყოვლისა, სარგებლობს იმ საბიუჯეტო განაკვეთი სახსრებით, შესაძლებლობებით, რაც კონსტიტუციითაა უკვე განსაზღვრულ-გათვალისწინებული. ამავე დროს პარლამენტის მიერ ცალკე მიღებული მთის კანონი დამატებით უზრუნველთოფს ამ მხარეებს ახალი სათანადო დაფინანსებით, რათა ეკონომიკურად მომძლავრდნენ, ფეხზე დადგნენ...

დასასრულს, იმედს ვიტოვებ, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ახალი გადამუშავებული მთის კანონის საფუძველზე შეიქმნება იმ ღონისძიებათა განხორციელების რეალური სახელმწიფო გეგმა (გზების, გვირაბების, სატელეფონო სადგურების, კულტურის სახლების მშენებლობა და რაც მთავარია, ახალმოსახლეთა დაბინავება დაცარიელებულ სოფლებში), რაც ასე აუცილებელზე აუცილებელია.

ერთი რჩევაც: ურიგო არ იქნება თუ პარლამენტში დასამტკიცებლად მთის კანონის გაგზავნამდე იგი გამოქვეყნდება პრესაში საყოველთაო განხილვისათვის.

ხვთისავარ არჩემაშვილი,
პროფესორი, ე. თაყაიშვილისა და ნ. ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

მთის კანონის პროექტის მე-5 თავის მე-8 მუხლი განათლებას ეხება. მთლიანობაში ამ მუხლის ცხრავე პოზიცია ცხოვრებისეული აუცილებლობით არის ნაკარნახევი, აქვე მე-8 პუნქტში ლაპარაკია იმაზე, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განსაზღვროს მთაში საჭირო სპეციალისტების პედაგოგები, ექიმები, სოფლის მეურნეობის მუშაკები და სხვა რაოდენობა და უზრუნველყოს მათი მომზადება, რისთვისაც აღდგეს მთიელი აბიტურიენტებისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისათვის სპეციალური ლიმიტების გამოყოფის პრაქტიკა, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ აუცილებლად დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებსა თუ დაბებს.

მაინც ვის და რატომ ათავისუფლებენ სამსახურიდან?

ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი ბოლო ხანებში პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა. ამ თემაზე შეკითხვების დასასმელად 8 ოქტომბერს თბილისის მერიაში, დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე შესვლას ამაოდ ცდილობდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. გათავისუფლების პროცესში პრობლემებს ხედავს და საკითხს ყურადღებით აკვირდება არასამთავრობო სექტორი, რომლის წარმომადგენლებიც საჯარო მოხელეებს საკუთარი უფლებების დაცვას ურჩევენ. მერიაში კი პრობლემას ვერ ხედავენ.

უკანონოდ გათავისუფლებულთა ბედით დაინტერესების მოტივით, დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე შესვლას თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ნიკანორ მელია და თბილისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა – თბილისის თავმჯდომარე ირაკლი აბესაძე ცდილობდნენ. ისინი იქ ვერ მოხვდნენ და თავიანთი მოსაზრებები და ეჭვები მხოლოდ მედიის წარმომადგენლებს გაუზიარეს. ირაკლი აბესაძე დარწმუნებულია, რომ მასობრივ გათავისუფლებას ძირითადად ნეპოტიზმი უდევს საფუძვლად:

„ნარმანიას და მის სამთავრობო გუნდს არ ჰყოფნის გამბედაობა, არა აქვთ არგუმენტები იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ჩვენ ვაცხადებთ. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ამ ადამიანებს აქვთ კონკრეტული მიზანი – ნებისმიერ ფასად მერიიდან გაყარონ ადამიანები იმისათვის, რომ საკუთარი მეგობრები, ნათესავები და „ქართული ოცნების“ აქტივისტები დაასაქმონ“.

„ჩვენ მათი შოუსთვის არ გვცალია. მე მათ ვურჩევდი ცუდ შოუმენობას შეეშვან“, – ასე გამოეხმაურა დედაქალაქის მერი დავით ნარმანია 8 ოქტომბერს განვითარებულ მოვლენებს. მან თქვა, რომ ირაკლი აბესაძეს, როგორც საკრებულოს წევრს, ჰქონდა უფლება შესულიყო სხდომაზე, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რადგანაც სინამდვილეში მისი მიზანი ეს არ ყოფილა. დაახლოებით იგივეა ნათქვამი თბილისის მერიის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაშიც, სადაც ასევე უარყოფილია საჯარო მოხელეთა უკანონო გათავისუფლებასთან დაკავშირებული ვარაუდები და ეჭვები. ფრაგმენტი განცხადებიდან:

„იმ ადამიანთაგან, ვისაც სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი, თუ სასამართლო რომელიმე მათგანზე მიიღებს სამსახურში აღდგენის გადაწყვეტილებას, ჩვენ ამ შემთხვევაშიც მოგვიწევს დავემორჩილოთ კანონს.

რაც შეეხება უსაფუძვლო ბრალდებებს, რომ მერიიდან ან მისი სტრუქტურული ერთეულებიდან თანამშრომელთა გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით ხდება, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ არის სიცრუე. იმ მოხელეთაგან, ვინც მერიაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამდე მუშაობდა, 95% ჩვეულებრივ აგრძელებს მუშაობას. ამიტომ გათავისუფლების ცალკეული შემთხვევები პოლიტიკურ დისკრიმინაციასთან არანაირ კავშირში არ არის. მათი ნაწილი პირადი განცხადების საფუძველზე, ნაწილი კი ადმინისტრაციული დარღვევების გამო გათავისუფლდა“.

პირდაპირ კანონში წერია, რომ მუქარა იმ მიზნით, რომ შენ დაწერო განცხადება და წახვიდე სამსახურიდან, არის სისხლის სამართლის დანაშაული. შეიძლება შენ დაგემუქრნენ რაღაცის გაკეთებით, შეიძლება – შენს ახლობელს, ოჯახის წევრს, შეიძლება სიტყვიერი მუქარა იყოს, შეიძლება ფიზიკურადაც შეგეხნენ – ყველაფერი იგულისხმება მუქარაში, რაც შენი ნების საწინააღმდეგოდ არის...

პათოლოგიური მიკროორგანიზმი „მადას“ პელმენში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის - სურსათის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა. საწარმოში, რომელიც მუხიანში მდებარეობს, ჩატარდა არაგეგმური ინსპექტირება, რომლის შედეგადაც, გარდა პათოგენური მიკროორგანიზმით მზა სურსათის დაბინძურებისა, გამოვლინდა კიდევ 2 კრიტიკული შეუსაბამობა: ბიზნეოპერატორს არა აქვს დაცული ხორცპროდუქტების სათანადო ტემპერატურით დამუშავების პირობები, საწარმოში არ არის ცხელი წყალი; ასევე, არ ხდება სურსათთან უშუალოდ შეხებაში მყოფი საგნებისა და აღჭურვილობების რეცხვა-დეზინფიცირება ცხელი წყლით.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

ყველაზე ძველი კლდეზე ხელით ნახატი აღმოაჩინეს გამოძვაბულში ინდონეზიაში. ის შეიძლება ჩვენს ერამდე ათობით ათასი წლის წინათ

ამ ნახატის ასაკი, მეცნიერების აზრით, სულ ცოტა 39,9 ათასი წელია. ანალოგიური გამოსახულება, რომელიც ევროპაში აღმოაჩინეს, 2000 წლით უფრო ახალგაზრდაა. ასეთმა აღმოჩენამ შეიძლება მიგვიყვანოს იმ თეორიის გადასინჯვამდე, რომლის თანახმადაც ევროპას ეკუთვნოდა წამყვანი როლი ხელოვნების განვითარებაში ქვის ხანაში.

* * *

ფრანგების ოჯახი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც, გაემგზავრა სირიაში ისლამისტების მხარდასაჭერად

პარიზის პროკურატურის ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილება აწარმოებს გამოკვლევას ერთი ოჯახის 11 წევრის გაქრობის ფაქტთან დაკავშირებით. ოჯახი ნიცაში ცხოვრობდა. არის საფუძველი ეჭვი ვიქონიოთ, რომ ისინი გაემგზავრნენ ჯიხადზე სირიაში. დაკარგულად ითვლებიან ხანდაზმული ქალი და მისი სამი შვილი ქმრებითა და შვილებით. განგაში ატეხა ქალის ერთ-ერთი რძლის მამამ – მისმა ქალიშვილმა 27 წლის ანდრეამ მიიღო ისლამი და გაემგზავრა სირიაში თავისი ქმრის კვალდაკვალ, თან წაიყვანა 4 და 6 წლის ბავშვები.

* * *

ხოდორკოვსკიმ ისაუბარა, თუ როგორ დაეხმარება ოპოზიციას არჩევნებში 2016 წელს: საფინანსო მხარდაჭერა არ იძნება

იუკოსის ყოფილი ხელმძღვანელი სთავაზობს სახელმწიფო დუმის მომავალ დეპუტატობის კანდიდატებს საორგანიზაციო მხარდაჭერას. „ფულს, როგორც ჩანს, ვადაღა დაედება. და ხალხი მიიღებს მხოლოდ დამატებით პრობლემებს. ამიტომ დაფინანსებაზე საუბარი არაა“, – განმარტა ხოდორკოვსკიმ.

* * *

აშშ-ში რუსეთელს სამხედრო აღჭურვილობით ვაჭრობისათვის 18 თვის პატიმრობა მიუსაჯეს

53 წლის მოსკოველი დმიტრი უსტინოვი ამერიკის შეერთებული შტატებიდან იქნება დეპორტირებული მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვა. გამოძიების მონაცემებით, ერთ-ერთი კომპანიის სახელით მან ამერიკის შეერთებული შტატებიდან რუსეთის ფედერაციაში წამოიღო 17 ღამის ხედვის სხვადასხვა ხელსაწყო, რომლებიც სამხედრო მოწყობილობად ითვლებიან, თანაც ეს გააკეთა ლიცენზიის უქონლად.

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2014 წლის 22 აგვისტოს №63 განკარგულებისა, 2014 წლის 6 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქუჩა №2, ოთახი №416) დღის 12 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ცხრილი N1

N	საინვენტარო ზაცია ნომერი	ძირითადი საშუალების დასახელება	შემადგენლობა	ღირებულება (ლარი)
1	15901, 16978, 16979	ვიდეო სათვალთვალო სისტემა	1 ც მულტიპლექსორი VideoTronic"; 2 ცალი სერვერი; 5 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic"	810
2	27627	ვიდეოკონტროლის აპარატურა	1 ცალი ციფრული ვიდეო ჩამწერი "H. 264 Digital Video Recorder; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic"	1215
3	27630, 27643, 27642, 15889	ვიდეოკონტროლის აპარატურა	1 ცალი გადამყვანი " NT-2416R"; 1 ც მონიტორი "Videotronic"; 1 ცალი მართვის პულტი Videotronic 1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 5 ცალი "Dome" კამერა	1620
4	15492	ვიდეოკონტროლის აპარატურა	1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic"	1215
5	27634, 27628	ვიდეოკონტროლის აპარატურა	1 ცალი სერვერი "Honeywell"; 1 ცალი "UPS MGE - 1500"; 1 ცალი "Dome" კამერა	810
6	15493, 15662	ვიდეოკონტროლის აპარატურა	1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 8 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic"	1215
7	15491	ვიდეოკონტროლის აპარატურა	5 ცალი მულტიპლექსორი; 1 ცალი მონიტორი "VideoTronic 10 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" და "Panasonic"; 3 ცალი ვიდეოკამერის სამაგრი ფეხი	1215
8	27629	ვიდეო კონტროლის სისტემის აპარატურა	1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 17 ცალი ვიდეოკამერა "YC 67 M"	4860
9	18951	დაშვების ელექტრონული სისტემა	5 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავეჯი	12150
10	27641	ვიდეოკონტროლის აპარატურა	1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 8 ცალი კამერა "VS-115NSHN-3"	1620
11	15490	ვიდეოკონტროლის სისტემა	1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 10 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic	1215
12		დაშვების ელექტრონული სისტემა	1 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავეჯი	1620
13	15905	ვიდეო კონტროლის აპარატურა	ვიდეოჩამწერი "Panasonic"	162
14	27635, 27636, 13233, 13230, 13221, 13226, 13227, 13225	ვიდეო კონტროლის აპარატურა–სვიჩი	5 ცალი სერვერი "Honeywell"; 2 ცალი გადამყვანი "SLT-1610R 1 ცალი სვიჩი "Cisco 3560"; 17 ცალი ვიდეო კამერა "YC 491W"	6480
15	27639	ვიდეო კონტროლის აპარატურა	1 ცალი მოდემი; 1 ცალი გადამყვანი "SLT-1610R;	810
16	15806, 15907	ვიდეო კონტროლის აპარატურა	1 ცალი სისტემის კონტროლი"VideoTronic" 1 ცალი გადამყვანი „ Everplex“	810
17	19034	მბრუნავი ვიდეო კამერა "Panasonic"	მბრუნავი ვიდეო კამერა "Panasonic"	243
18	15659	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	162
19	15406	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	162
20	15889	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	243
21	18072-27640	ვიდეო კონტროლის აპარატურა	2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 10 ცალი "Dome" კამერა	3645
22	18073	ვიდეო კონტროლის აპარატურა	1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600" 5 ცალი "Dome" კამერა	2835
23	27632	ვიდეო კონტროლის აპარატურა	1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 8 ცალი "Dome" კამერა	2835
24	27631	ვიდეო–საკონტროლო სისტემის აპარატურა	1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 2 ცალი "Dome" კამერა	810
25	27637	ვიდეო კონტროლის აპარატურა	1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 3 ცალი "Dome" კამერა	4050
26	27638	ვიდეო კონტროლის აპარატურა	2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 8 ცალი "Dome" კამერა	12150
			სულ ჯამი	64,662.00

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 ცხრილში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული თანხის გადახდა სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 10 (ათი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია, საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მოხდება ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

პირს უფლება აქვს, ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და ლოტების სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია

ვულოცავთ!

მტკვარზე დაცურებული ტივით – მსოფლიოს გარშემო



პოპულარული საესტრადო და ქართული ხალხური, მრავალი უცხოური, მათ შორის, განსაკუთრებით ნეაპოლიტანური სიმღერების, საოპერო არიების, რუსული და ბოშური რომანსების უბადლო შემსრულებელს, ჩვენი ესტრადის ერთ-ერთ გამორჩეულად კაშკაშა ვარსკვლავს ენრიკო ჯანელიძეს 65 წელი შეუსრულდა.

ნიჭიერი შემოქმედის იუბილეს აღსანიშნავად 8 ოქტომბერს კინოს სახლში დედაქალაქის რჩეული საზოგადოება შეიკრიბა. მოწვეულ სტუმრებს მომღერალი თავისი 45 წლის მანძილზე განვლილი გზის ამსახველი ფილმით წარუდგა, რომელშიც სხვადასხვა დროს ერთმანეთისგან განსხვავებულ გარემოსა და პუბლიკის წინაშე მის მიერ შესრულებული სიმღერა და კლიპი, ასევე ჩვენ კულტურის სახელოვან წარმომადგენელთა, მათ შორის, მწერლის რევაზ მიშველაძის, მომღერლების გენო ნადირაშვილის, თემურ ქევხიშვილის, მსახიობების ჯემალ ღაღანიძის, გია ბურჯანაძის, გედარ ფალავანდიშვილის, მრავალი სხვის, მომღერლის შემოქმედებასა და პირადი მეგობრული ურთიერთობის ამსახველი მოსაზრებებია...

ჩემი მეგობრის ენრიკო ჯანელიძის შემოქმედებასა და ფერადი შთაბეჭდილებით აღსავსე ცხოვრებაზე ბევრს აღარ მოვყვები, იმას კი აუცილებლად ვიტყვი, რომ ჩვენმა სასიქადულო მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ მას „ქართული მაგელანი“, უსაყვარლესმა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა კი „ბონასერ ოკეანოვიჩი“ შეარქვეს.

საღამოს დასასრულს საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტმა ვაჟა ეგრისელმა ენრიკო ჯანელიძეს აკადემიის ნამდვილი წევრის დიპლომი გადასცა.

გაზეთის რედაქცია უერთდება იმ მილოცვებს, რომლებიც იუბილარმა მიიღო და სახელოვანი გზის წარმატებით გაგრძელებას უსურვებს.

ოთარ ტურაბელიძე

ყველაფერი ყველაფერზე



სილამაზით ნიშანდებულები

„ნულოვანი წლების“ მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი მოდელი ქეით მოოსი, აგერ უკვე ოც წელზე მეტი ხანია, ცნობილი ბრენდის „კელვინ კლაინის“ სახეა.

როგორც ჩანს, მოოსების გვარის ქალებს სილამაზე და ქალური ეშხი ბუნების ნაბოძები აქვთ: ცოტა ხნის წინათ ქეითის ნახევარდა ლოტი მოოსი ასევე „კელვინ კლაინის“ ვარსკვლავი გახდა. საქვეყნოდ ცნობილ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტი 16 წლის ულამაზესი ქალიშვილისთვის ცხოვრებაში პირველი სერიოზული ნაბიჯია. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ლოტი სილამაზით თავის უფროს დასაც სჯობია, თუმცა კი მის დიდებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

თქვენი „გულითადი მეგობრები“

გულის სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანთა გარდაცვალების მიზეზთა „სავალალო სამეულის“ „უცვლელი“ წევრი აგერ უკვე საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზეა.

გულის დაავადებებთან ბრძოლის მრავალი ხერხია შემუშავებული, მათ შორის, საკმაოდ ეფექტიანიც. არის მრავალი მედიკამენტოზური პრეპარატი, რომელთა მიღებას ექიმები პაციენტებს ურჩევენ, მაგრამ არის კიდევ რამდენიმე მარტივი წესი, რომელთა დროულად დაცვა მომავალში ბევრ პრობლემას თავიდან აგაცილებინებთ.



თუ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას უჩივით ანდა გენეტიკურად ამ ტიპის დაავადებებისადმი მიდრეკილება გაქვთ, უწინარესად, უნდა შეამციროთ მარილის, დაკონსერვებული და დამწნილებული პროდუქტების მოხმარება. ცხოველური ცხიმები, უმჯობესია, მცენარეული ზეთებით შეცვალოთ, ხორცის, ფრინველისა და თევზის არჩევისას ეცადეთ მჭლე ნაჭრები მიირთვათ. სასმელებიდან უნდა გამორიცხოთ ნატურალური ყავა, რომელიც უმჯობესია, მწვანე ჩაით ჩაანაცვლოთ, ხოლო თუ ყავაზე უარის თქმა გიჭირთ, მაშინ მას რძე დაუმატეთ. კვების რაციონში ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ხილისა და ბოსტნეულის წვენი შეიტანოთ. ასევე ძალიან სასარგებლოა ასკილის ნახარში.

შუქი, შუქი გვინდა!

როგორი განათებული უნდა იყოს ბინა, რომ წლის ყველაზე ჟამიან და მოწყენილ დროს საცხოვრისში კარგი აურა დატრიალდეს?

დავიწყოთ საძინებელი ოთახით. ფსიქოლოგთა აზრით, შეცდომა, რომელიც ყველაზე ხშირად მოსდით, იმაში მდგომარეობს, რომ გაღვიძებისთანავე ოთახი რაც შეიძლება მეტად უნდა განათდეს, რადგან ეს თითქოსდა, უფრო სწრაფად გამოფხიზლებას უწყობს ხელს. არადა, სინამდვილეში ყველაფერი საპირისპიროდაა — განათების მკვეთრი ცვლა ორგანიზმის გაღიზიანებას იწვევს. ამიტომ საჭიროა რბილი, გაბნეული განათების ჩართვა, რომელსაც ღია ფერის ქსოვილის, ანდა ბაცი მინის ბრა, ან აბაჟური გამოასხივებს. სხვათა შორის, იგივე პრინციპით უნდა შეირჩეს ჭერის განათებაც, ამდენად საძინებელ ოთახში ბროლის ჭაღი აშკარად უადგილო იქნება.

იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ ჩვენგანს სააბაზანო ოთახი მაინცდამაინც დიდი არა აქვს, ამდენად იქ გაბნევის დიდი კუთხის მქონე ბრა და ორი მხრიდან განათებული სარკე სავსებით საკმარისი იქნება. აბაზანაში კარგ განათებას უზრუნველყოფს ასევე ჩამოკიდებულ ჭერში ჩამონტაჟებული ნათურები, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, განათება აუცილებლად სარკესთანაც უნდა იყოს.

სადღესასწაულო დღეებში გაჭახჭახებული სუფრა არა მხოლოდ მადას უმატებს, არამედ გუნება-განწყობილებასაც ხალისიანს ხდის. პატარა სამზარეულოში კარგი ვარიანტია ასაწევ-დასაწევი მანათობლის დაყენება — საღამოობით ასეთი „ადგილობრივი“ განათება განსაკუთრებული სიმყუდროვის ატმოსფეროს ქმნის.

ზამთრის მოღუშულ დილას კი „დასატვირთად“ უფრო მეტი სინათლე დაგჭირდებათ, ამიტომ უმჯობესი იქნება, შუქის დამატებითი წყაროების ჩართვა. ამის უზრუნველყოფა კი, მაგალითად, სამზარეულოს მთელ პერიმეტრზე ჩამოკიდებულ ჭერში პატარ-პატარა გამნათებლების დამონტაჟებით შეიძლება. კიდევ ერთი ვარიანტია ნათურების მოძრავ ანდა დრეკად კრონშტეინებზე დამაგრება უკარნიზო კარადების თავზე.

აღნიშნულის გარდა სამზარეულოში გასათვალისწინებელია სამუშაო ზონის მანათებლების პრობლემა. ჩამოკიდებული კარადები დიასახლისის სამუშაო მაგიდას ჩრდილავენ. თუკი ასეთი ზონა მცირეა, ჩვეულებრივ სამზარეულოს გამწოვში ჩამონტაჟებული განათებაც საკმარისია, მაგრამ უფრო ხშირად ისე ხდება ხოლმე, რომ ეს საკმარისი არ არის.

მაშ რაშია ალტერნატივა? ამ დროს მოხერხებულია ჩამოკიდებული თაროების ძირში დამაგრებული დაბინდული ნათურებით დახურული აბაჟურებით ჩამოკიდება, რომლებიც თვალისთვის სასიმოვნო თბილ შუქს ანათებს.

რაც შეეხება ბავშვთა ოთახებს, აქ მეტად მნიშვნელოვანია განათების ფუნქციონალურობა — იქ დამონტაჟებული ნათურები იმავე სიმძლავრისა უნდა იყოს, რაც ბინის სხვა ოთახებშია, რათა ბავშვის თვალისთვის განათებაში განსხვავება გამღიზიანებელი არ იყოს. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ განათება მობილური უნდა იყოს: საქმე ისაა, რომ ბავშვები ხშირად იატაკზე, ან მაგიდის ქვეშ თამაშობენ ხოლმე, ამდენად განათების იდეალური ვარიანტია გამნათებელი ტრანსფორმერები, როცა სინათლის ნაკადის მიმართვა ნებისმიერ სასურველ მხარეს შეიძლება. ამის გარდა, საჭიროა ასევე სინათლის სხვა წყაროებიც — ბრები, მისამაგრებლებიანი ნათურები, მაგრამ არა ტორშერი, რომლის თამაშის დროს გადმოყირავება ძალიან ადვილია.

მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სამუშაო ადგილის განათებაა, ამის საუკეთესო ვარიანტია კონუსის ან სფეროს ფორმის მაგიდის გამნათებელი, რომელიც თვალისთვის ყველაზე კომფორტულ განათებას ქმნის. კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება ის გახლავთ, რომ როცა ბავშვი თამაშობს, ოთახში აუცილებლად რბილი ზედა განათებაც ჩართული უნდა იყოს.

სასტუმრო ოთახის განათების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა ჭერქვეშ ჭაღი, კედელზე რამდენიმე ბრა და ტორშერი. ეს აშკარად არასაკმარისია, რადგან სასტუმრო — საცხოვრისის ყველაზე მრავალფუნქციური ოთახია. ამდენად სტუმრების მისვლებად საჭიროა საზეიმო განათების უზრუნველყოფილი მძლავრი ჭაღი, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში, ვთქვათ, როცა ბავშვებთან თამაშობთ, მისი მთელი სიმძლავრის გამოყენება საჭირო სულაც არ არის.

დამატებითი განათების წყაროები სხვადასხვა სიმაღლეზე უნდა იყოს დამონტაჟებული და სხვადასხვ ფუნქციას უნდა ასრულებდეს. თანამედროვე ინტერიერის მქონე სასტუმრო ოთახს დიდად უხდება სხვადასხვა მხარეს ადვილად მისამაგრი გამნათებლები, რაც მას დამატებით ხიბლს აძლევს.

ნუ „გაყინავთ“ მანქანას გზაში!

წლის ყველა დროს ავტომანქანების მფლობელთათვის თავისი სპეციფიკური სადარდებელი მოაქვს ხოლმე, მით უმეტეს მაშინ, როცა შემოდგომის სუსხი თანდათან ზამთრის სიცივეში გადადის. ამ დროს ავტომოყვარულებს მარტო იმაზე კი არ უწევთ ფიქრი, რომ ავტომანქანას ზამთრის საბურავები უნდა „ჩააცვან“, არამედ იმაზეც, რომ საქარე მინისთვის გაუყინავი სითხის მომარაგებაა საჭირო. გამოცდილმა მძღოლებმა კარგად იციან, რომ საგანგებო ავზში ასეთი სითხე უსაფრთხო მოძრაობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ასეთი გაუყინავი სითხის შეძენა ბევრგან შეიძლება — მას არა მარტო სპეციალიზებულ მაღაზიებში, არამედ სუპერმარკეტებშიც ყიდიან, თანაც ნებისმიერი გზატკეცილის გაყოლებაზე მრავლადაა ისეთი წერტები, სადაც ამ საქონელს შემოგთავაზებენ. ამასთან, მისი შეძენისას გარკვეული სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აღნიშნული პროდუქცია იაფია. საქმე ის არის, რომ ავტომანქანის საქარე მინის გასაწმენდი სითხე სუფთა სპირტს უნდა შეიცავდეს, მის გასაიაფებლად კი მასში მეთილის სპირტს ურევენ, რის შედეგად ეს სითხე შეიძლება გაიყინოს, რაც მოძრაობისას საფრთხეს შეგიქმნით. ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ეს სითხე აუცილებლად საფირმო მაღაზიებსა და საფირმო შეფუთვით შევიძინოთ.

ისე კი, თუკი ყინვაში სასწრაფოდ გასამგზავრებელი ხართ, გასაწმენდი გაუყინავი სითხე კი მომარაგებული არა გაქვთ, მისი გაკეთება თვითონ შეგიძლიათ. საამისოდ სპირტი და დისტილირებული წყალი ერთმანეთს პროპორციით 1:4-ზე შეურიეთ (ანდა სპირტი შეგიძლიათ ნებისმიერი, გნებავთ, დაბალხარისხიანი არყით შეცვალოთ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს). ამის შემდეგ ნარევს დაახლოებით ჩაის კოვზამდე ჭურჭლის სარეცხი საშუალება დაუმატეთ და ავზში ჩასხმამდე კარგად აურიეთ.

ისე კი ამდენ წვალებას, სჯობს თადარიგი თავიდანვე დაიჭიროთ!

◎ „ევრო – 2016“

ქეცბაია: შოტლანდიაში წასაგებად არ ჩამოვსულვართ

ევრო 2016-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები ხვალ გლაზგოში შოტლანდიის ნაკრებს ურთულეს მატჩში დაუპირისპირდება.

როგორც იცით, თემურ ქეცბაიამ გუნდი ახლახან შეკრიბა და ის უკვე ბიჭებს 4 დღეა ავარჯიშებს.

ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ინტერვიუს აქვეყნებს BBC Sport, სადაც თემური ბრიტანულ პრესასთან შოტლანდიასთან მატჩზე საუბრობს:

„შოტლანდიაში წასაგებად არ ჩამოვსულვართ. ვფიქრობ, რომ თუ გავაკეთებთ იმას, რაც გვევალება, კარგ შედეგსაც დავდებთ.

ბრიტანულმა ნაკრებმა გერმანიასთან შეხვედრაში ყველას დაანახა, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდია. აშკარაა, რომ ამ ნაკრებში ბევრი კარგი მოთამაშეც ირიცხება, ასე რომ ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ.

სამწუხაროა, რომ ამჟამად საქართველოს ნაკრების არც თუ ისე ბევრი მოთამაშე თამაშობს ისეთ გამორჩეულ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი, იტალია, გერმანია ან ესპანეთი. ეს დიდი პრობლემაა ჩვენთვის და, რა თქმა უნდა, ნაკრებზეც აისახება.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, იქ დონე საკმაოდ დაბალია და ფეხბურთელების გამოძახება ეროვნულ ნაკრებში შიდა ჩემპიონატიდანაც ამიტომ ხდება რთული.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს საიმედო მომავალი თაობა ჰყავს. ამჟამად ბევრი კარგი ახალგაზრდა მოთამაშეა ჩვენს ქვეყანაში, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა წავიდნენ და ითამაშონ დიდ ქვეყნებში“, – განაცხადა თემურ ქეცბაიამ.

კოგა კოგახიძე

◎ ფეხბურთი

მარცხიანი სტარტი

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მონტენეგროელ თანატოლებს უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა.

მატჩის პირველი ნახევარი უშედეგო გამოდგა, თუმცა სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა, განსაკუთრებით სტუმართა კართან.

მეორე ტაიმს რაც შეეხება, ქართველმა ფეხბურთელემა აქტიურად დაიწყეს შეტევები, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხეს, 65-ე წუთზე კი მატჩის მთავარმა არბიტრმა საეჭვო სიტუაციაში დანიშნა თერთმეტმეტრიანი.

ჩაბრაძე საჯარიმოში მონტენეგროელ ფორვარდს ჩაუხტა ფეხებში, რაზეც მსაჯმა წესების დარღვევა დაფიქსირა. პენალტი გოლად სმილანიჩმა აქცია.

ამის შემდეგ ქართველები კვლავ უტევდნენ, თუმცა გოლი კვლავ საკუთარ კარში მიიღეს. 81-ე წუთზე მეკარის გასაოცარი შეცდომის შედეგად გოლი სარკიჩმა გაიტანა და საბოლოო ანგარიში დაფიქსირა – 0:2.

ამრიგად, ევრო 2015-ის შესარჩევი ეტაპის პირველი შეხვედრა საქართველომ დათმო. აქვე გეტყვით, რომ მეორე მატჩში კვიპროსმა რუმინეთი 1:0 დაამარცხა.

დღეს ითამაშებენ: საქართველო – კვიპროსი, მონტენეგრო – რუმინეთი

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

მარკოიშვილი ოფიციალურებშიც სასტარტოშია

მანუჩარ მარკოიშვილის ცსკა-მ სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და იოლი გამარჯვება იზეიმა. რუსული გრანდი ვთბ-ლიგაში ტურნირის დებიუტანტ „ბიზონსს“ დაუხვდა და ფინელები 99:70 გაანადგურა.

სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ისევ სასტარტო ხუთეულში იყო და 19 წუთში 6 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

მანუჩარმა 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი არ დაუკარგავს, ერთხელ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები 2-ჯერ დაირღვა.

მეტოქის სისუსტიდან გამომდინარე, მოსკოველთა ბერძენმა დამრიგებელმა დიმიტრის იტუდისმა განაცხადში მყოფი 12-ვე კალათბურთელი ათამაშა, ყველაზე შედეგიანები კი უიმსი (15), თეოდოშიჩი (14), ჯექსონი (13), ჰაინსი (13) და ფრიძონი (10) იყვნენ.

ცსკა-ს ვთბ-ლიგაში მორიგი მატჩი 12 ოქტომბერს ელის, როდესაც ყუბანში „ლოკომოტივს“ ესტუმრება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

არაბიძე მეწინავეთა შორისაა

ძართველი მოჭადრაკეები – მერი არაბიძე და ირაკლი ბერაძე ამჟამად ინდოეთის ქალაქ პუნეში იმყოფებიან და 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობენ, სადაც 13 ტური გათამაშდება.

არაბიძემ (2409), რომელიც რეიტინგით რუსი ალექსანდრა გორიაჩკინას (2430) შემდეგ მეორეა ტურნირზე, ასპარეზობის სტარტზე კარინა აზიმოვას (რუსეთი) აჯობა, ბერაძემ კი მასპინძელ მალგა სუდაშანს გააჩერებინა საათი. მეორე ტურში მერიმ მაე ჟანელ ფრაიას (ფილიპინები) სძლია, ირაკლი კი ირანელ პოუია იდანისთან დამარცხდა. მესამე ტურში არაბიძემ ეგვიპტელ მონა ხალედთან ვერაფერი გააწყო და ნახევარ ქულას დასჯერდა, რითაც ლიდერობა ნანდინხაას (ინდოეთი) მძლეველ დარია პუსტოვოიტოვას (რუსეთი) გადააბარა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით 15 მოჭადრაკე, მათ შორის არაბიძე ჩამორჩება. ბერაძემ მესამე ტურში ინდოელი აშრაფ მოჰამადი დაამარცხა და 2 ქულას მოუყარა თავი.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ჩვენებურები – მეოთხედფინალში

ძართველი ჩოგბურთელი სოფიო შაფათავა ამერიკულ როკ ჰილის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მეორე ნომრად ჩაება, მაგრამ სტარტზევე სამხრეთაფრიკელ ჩანელ საიმონდსთან (რეიტინგით 303-ე) დამარცხდა – 2:6, 7:6, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

თბილისელი სოფიო ქვაცაბაია ყაზახურ ჩიმკენტში ასპარეზობს: სტარტზე მან მასპინძელ ალინა ტალუენკოს მოუგო – 7:6, 6:0, მერე მისივე თანამემამულე კამილა ბოლატოვა დაჯაბნა – 6:0, 6:2 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ბელარუს პოლინა პენკოვას შეხვდება.

ჩიმკენტშივე ვაჟთა 10.000-იან შეჯიბრებაში ალექსანდრე მეტრეველმა ერთეულების პირველ წრეში მე-2 ნომრად განთესილი ინდოელი ჟეევან ნედუნჩეჟიანი დაამარცხა 6:2, 7:6, მეორეში ტიმურ რაზმაიტოვს (რუსეთი) მოუგო – 6:2, 1:6, 7:5 და მეოთხედფინალში მაქსიმ ჰამუს (საფრანგეთი) გაუწევს მეტოქეობას. გიორგი ცივაძემ უკრაინელი გლებ ალექსეენკო კი დაჯაბნა – 6:3, 7:5, მაგრამ შემდეგ მის თანამემამულე ვლადისლავ მანაკოვს დანებდა – 1:6, 4:6.

გივი გაგუა

◎ ძიუდო

ასტანაში – ხუთი ფალავნით

აგვისტოს ბოლოს ჩელიაბინსკში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ქართველ ძიუდოისტებს არც ერთ შეჯიბრებაში არ უასპარეზიათ. და აი, თვენახევრიანი შესვენების შემდეგ 10-12 ოქტომბერს ყაზახეთში პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე – ასტანის გრან პრიზე ჩვენები ხუთი ფალავნით გამოვლენ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ გამოცდილ მოჭიდავეთაგან განაცხადში მხოლოდ ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ) და ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ) შეიყვანა. მათ გარდა, ასტანის ტატამზე ძალებს მოსინჯავენ ამბაკო ავალიანი (81 კგ), ადამის ძმა - ვახტანგ ოქრუაშვილი (+!00 კგ) და ქალებში ესტერ სტამი (70 კგ). შეგახსენებთ, რომ ავალიანი 3-4 წლის წინათ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატი იყო და 2011 წელს თბილისის მსოფლიოს თასზეც გაიმარჯვა, მაგრამ ბოლო წლებში აქტიურ სპორტს ჩამოშორდა – ჯერ გარდაბნის გამგებელი იყო, ხოლო შემდეგ პეტერ ზაიზენბახერს გაჰყვა აზერბაიჯანში და. იქიდან დაბრუნებულმა ვარჯიში ახლახან განაახლა. აზიურ ტურნირზე იგი საკუთარი ხარჯით გაემგზავრა. ვახტანგ ოქრუაშვილიც შარშან აზერბაიჯანის ნაკრებში გამოდიოდა დედის – ბიტიევის გვარით.

შავდათუაშვილი და ავალიანი ასტანაში 11 ოქტომბერს, სტამი და ძმები ოქრუაშვილები კი 12-ში იჭიდავებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

ხალიდი იასმინს ეტრფის

ალბათ გახსოვთ დაუდეგარი ჰოლანდიელი მცველი ხალიდ ბულაჰრუზი, რომელსაც ევროპის ტალიკტალიკ კლუბებში აქვს ნათამაშები და მის წინააღმდეგ მოთამაშე თავდამსხმელები ამ ჰოლანდიელ მცველს ისე ისსენებენ, როგორც მოწინააღმდეგე სამხედრო ავიაციას, რომელიც შენს პოზიციებს ბომბავს.

ბულაჰრუზი ამჟამად კარიერის ბოლო აკორდებს ითვლის და თავის სამშობლოში მსუბუქად აგორებს ბურთს, თუმცა მედიის ყურადღების ცენტრში ამჯერად სულ სხვა რამის გამო მოექცა. ხალიდით მედია მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მჩეხავმა ნიდერლანდელმა მცველმა თავისი ახალი გულისსწორი გამოამზეურა.

ბულაჰრუზის ახალი გულისსწორი ყოფილი „მის ჰოლანდია“ იასმინ ვერჰეიენია, რომელსაც ნიდერლანდელი მცველი თურმე აქამდე საიდუმლოდ ხვდებოდა და რაკი რომანის შესახებ ვისაც კი არ დაეზარა, ყველამ შეიტყო, წყვილი იძულებული გახდა ტრფობა ეღიარებინა. სიყვარულს რას გაუგებო – ამაზეა ნათქვამი...

როსტომ რაჭველიშვილი

განცხადება

შპს „ენგურჰესი“ აცხადებს პირობათა გამოკითხვას 260 მვტ სიმძლავრის ჰიდროაგრეგატის მიმდინარე შეკეთების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

მომსახურების გაწევის ადგილია აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო.

დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

პირობათა გამოკითხვის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მსურველებს დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე შეეძლებათ მოთხოვნისთანავე 2014 წლის 10 ოქტომბრის 14 სთ-დან 15 ოქტომბრის 18 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

პრეტენდენტებმა პირობათა გამოკითხვის შესახებ წინადადება დახურულ კონვერტებში ერთი ორიგინალი და ერთი ასლი ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 16 ოქტომბრის 10 სთ-დან 14 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება პროცედურებთან დაკავშირებით შეგიძლიათ, მიიღოთ შემდეგ ნომერზე:

ჯეირან არონია 595 962296.

პირობათა გამოკითხვის კომისია

განცხადება

შპს „ენგურჰესი“ აცხადებს პირობათა გამოკითხვას საიზოლაციო ზეთებში მექანიკური მინარევების განმსაზღვრელი ხელსაწყოს მოწოდებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

დეტალური ინფორმაცია შესასყიდ ხელსაწყოზე მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

პირობათა გამოკითხვის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მსურველებს დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე შეეძლებათ მოთხოვნისთანავე 2014 წლის 10 ოქტომბრის 14 სთ-დან 15 ოქტომბრის 18 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

პრეტენდენტებმა პირობათა გამოკითხვის შესახებ წინადადება დახურულ კონვერტებში ერთი ორიგინალი და ერთი ასლი ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 16 ოქტომბრის 10 სთ-დან 14 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება პროცედურებთან დაკავშირებით შეგიძლიათ, მიიღოთ შემდეგ ნომერზე;

ჯეირან არონია 595 962296.

პირობათა გამოკითხვის კომისია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

გამოსათხოვარი

თემურ ნაფიშვილი

მოულოდნელად, 61 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიჭიერი შემოქმედი, ცნობილი ჟურნალისტი **თემურ ნაფიშვილი**.

1975 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო გორის გაზეთ „გამარჯვებაში“ ფოტოკორესპონდენტად. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქინფორმის შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, მესხეთ-ჯავახეთის ზონის საკუთარი კორესპონდენტია. სწორედ იქ მუშაობისას გამოვლინდა მისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ასევე გორში გამომავალ ცხინვალიდან დევნილი გაზეთების რედაქციებთან.

1996 წლიდან გარდაცვალებამდე თემურ ნაფიშვილი მის მიერ დაფუძნებულ შპს „ავტოსერვის-ლომჭაბუკსაც“ ხელმძღვანელობდა. იგი დაუშრეტელი ენერგიით იღვწოდა შიდა ქართლის რეგიონში ტურისტული მარშრუტების ასამოქმედებლად. პარალელურად აგრძელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას.

ჩვენი კოლეგა წლების განმავლობაში იმ შემოქმედთა რიგებს ამშვენებდა, ვინც სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის მტკიცედ და შეუპოვრად გამოხატავდა თავის მოქალაქეობრივ პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად.

განერიდა საწუთროს, წავიდა, მიუხმო ცად ამაღლებული შვილის სულმა დამწუხრებული მამა, ნაღდი გორელი, კარგი მეოჯახე, გულისხმიერი მეგობარი.

ამიერიდან მის ნათელ ხსოვნას არდავიწყების შარავანდედი მოსავს.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილება.

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი სამძიმარს უცხადებენ ბატონ ჯუმბერ მაღლაფერიძეს ძმის, პროფესორ

ოთარ მაღლაფერიძის

გარდაცვალების გამო.

⊙ ინფორმაცია

მარნეულში ადვოკატი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მარნეულის რაიონ სოფელ იმირში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ადვოკატი ჯეიხუნ მამედოვი დააკავა.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითური გზით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, ასევე დაკავებული იქნა ჯეიხუნ გუმბათოვი და ზახიდ გუმბათოვი, ხოლო ორი მოქალაქე, შაიგ ალიევი და რამინ გარაბაგლი ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულის სახით მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშულ პირთა ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით, თაღლითური გზით დაეუფლა ქალაქ მარნეულში მდებარე მიწის ნაკვეთებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა„ და „ბ„ პუნქტებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

საქმე №1/90-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

8 ოქტომბერი 2014 წელი **ქ. თბილისი**

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე
საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ადამ კოტორაშვილი
დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 1 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტის“ სარჩელი მოპასუხის ადამ კოტორაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 22 თებერვალს ერთის მხრივ, შპს „სმარტ კრედიტსა“ და მეორეს მხრივ, ადამ კოტორაშვილს შორის დაიდო №021300560 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 570 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

— მარკა, მოდელი: ოპელ კორსა, ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2000; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WOLOSBF08Y4297164. სარეგისტრაციო მოწმობა: AV8651809, სარეგისტრაციო ნომერი: WWQ941.

ხელშეკრულების 3.2.12 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ადამ კოტორაშვილს გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ, ისე მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და არც საფოსტო შეტყობინებას მიაკითხა ფოსტაში.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ადამ კოტორაშვილის მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ადამ კოტორაშვილი რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ადამ კოტორაშვილს (პ/ნ 31001017117) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „სმარტ კრედიტის“ სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ადამ კოტორაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ, წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ადამ კოტორაშვილს ეცნობოს, რომ 2014 წლის 30 ოქტომბერს 11 საათზე შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „სმარტ კრედიტის“ სარჩელზე — სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ადამ კოტორაშვილის მიმართ.

5. ადამ კოტორაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია, მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ეს წვრილმანი არ არის...

დიასახლისის 5 შეუცვლელი დამხმარე

1. სარეცხი საპონი- ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი

სუნის გამო ზოგიერთს შეიძლება არ ესიამოვნოს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ სარეცხი საპონი საუკეთესო ანტიბაქტერიული საშუალებაა. იგი იდეალურად ასუფთავებს ზედაპირებსა (იატაკს, ჭურჭლის ნიჟარებს, საბაზანოს ოთახს და ა.შ.) და სარეცხს. იგი დეზინფექციას უტარებს და კლავს მიკრობებს.

სარეცხი საპონი აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმ დიასახლისს, რომელსაც სახლში ჩვილი ჰყავს. გახსოვდეთ, რომ სარეცხის საპონს 72% უნდა ეწეროს, სწორედ ეს საპონი გჭირდებათ და არა გათანამედროვებული.

2. საჭმელი სოდა

სოდით შეგიძლიათ, გარეცხოთ ჭურჭელი, მოასუფთაოთ ზედაპირები (მაგ. გაზის). სოდა იდეალურად ებრძვის სიბინძურეს და ჩამჯდარ ჭუჭყს. სოდა დაგეხმარებათ, ჭიქებს ჩაის ნადები მოაშოროთ. მინის ჭურჭელი (ჭიქები, ვაზები) სოდიან წყალში გარეცხეთ. ამისათვის 2 ჩაის კოვზი სოდა გახსენით 1 ლიტრ წყალში. მოათავსეთ გასარეცხი ჭურჭელი სოდიანი წყლით სავსე თასში და რამდენიმე ხანი გააჩერეთ. თუ ჭუჭყს ხელით ვერ გააცლით, ჯაგრისი ან ღრუბელი გამოიყენეთ.

თუ ემალის ქვაბი გაგიყვითლდათ ან ფერი იცვალა, წყალში გახსნილი სოდით (ფაფისებური მასა უნდა მიიღოთ) გარეცხეთ.

თუ ჭურჭლის ნიჟარაში წყალი ცუდად ჩადის, გადაურიეთ ერთმანეთში თითო ჩ/კ სოდა, მარილი და 2 ჩ/კ ძმარი. მიღებული მასა ჩაასხით ნიჟარაში, დაელოდეთ 15 წუთი და შემდეგ მდუღარე წყალი ჩაასხით. ეს პროცედურა ნიჟარას უსიამოვნო სუნსაც მოაშორებს.

თუ მაცივარში ცუდი სუნი გაჩნდა, მასაც სოდით მოაშორებთ. ამისათვის პატარა ფიალაში ჩაყარეთ სოდა და შემოდგით მაცივრის ქვედა თაროზე.

არ დაგავიწყდეთ, საპირფარეშოს ურნების სოდიანი ან სარეცხისსაპნიანი წყლით გარეცხვა. ასე თქვენ მათ გაასუფთავებთ და დეზინფექციასაც ჩაუტარებთ.

3. ძმარი

ძმარი ერთ-ერთი საუკეთესო მათეთრებელი საშუალებაა, კლავს მიკრობებს და აშორებს ცხიმებს.

თუ სამზარეულოში შემწვარი თევზის, ნივრის ან სხვა უსიამოვნო სუნი დგას, ტაფაზე დაასხით ცოტა ძმარი და დაბალ ცეცხლზე დუღილამდე მიიყვანეთ. უსიამოვნო სუნი გაქრება.

საპურეში უსიამოვნო სუნსა და სოკოსაც კი ძმარი გაუმკლავდება. გაწმინდეთ საპურე ძმარში დასველებული ჩვრით.

ცხიმიან ქვაბებსა და ტაფებს ადვილად გარეცხავთ, თუ მათში ძმარს ჩაასხამთ.

თუ ქვაბში სადილი მიგეკრათ, ჩაასხით მასში ძმარი, გააჩერეთ მთელი ღამე და დილით უპრობლემოდ და ზედმეტი წვალების გარეშე გარეცხავთ.

ძალიან ადვილი და კომფორტული სახმარია ძმრიანი წყალი, რომელიც პულივიზატორში გექნებათ მოთავსებული. ასეთი შინაურული მეთოდით მარტივად გაუმკლავდებით მიკრობებსა და ცხიმებს ზედაპირებზე (გაზზე, იატაკზე, მინებზეც კი).

სამზარეულოს ხის საჭრელი დაფები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ, რადგან ისინი ბაქტერიების ბუდეა. ამიტომ, პერიოდულად ძმრიანი ჩვრით გაწმინდეთ ხოლმე.

თუ ჩაიდანში ნადები გაჩნდა, ჩაასხით მასში ძმარი და წამოადუღეთ.

მარილისა და ძმრის ნარევით (ფაფისებური მასა უნდა მიიღოთ) ერთგვარ სკრაბს მიიღებთ, რომელიც ადვილად გაუმკლავდება ქვაბების გარეთა, ჭუჭყიან მხარეს.

4. მდოგვის ფხვნილი

იგი ძვირად ღირებულ ჭურჭლის ჟელესაც კი შეცვლის. დაყარეთ მდოგვის ფხვნილი ცხიმიანი ჭურჭლის ზედაპირზე, ცოტა ხანი გააჩერეთ და თბილი წყლით გარეცხეთ.

5. ლიმონმჟავა

ლიმონმჟავა საუკეთესო მათეთრებელი საშუალებაა. აგრეთვე, არასასიამოვნო არომატებსაც ანეიტრალებს. შეუძლია ჩაიდანს ნადები მოაცილოს. ამისათვის ჩაიდანში ჩაყარეთ ლიმონმჟავა და ჩაასხით წყალი და რამდენჯერმე (ჩაიდანში ადუღებული წყალი რომ გაცივდება ისევ აადუღეთ და ასე რამდენჯერმე) წამოადუღეთ. ეს მეთოდი საუკეთესოა როგორც ელექტროჩაიდნებისთვის, ასევე ჩვეულებრივებისთვისაც.

ლიმონმჟავა ნადებს სარეცხის მანქანასაც მოაშორებს. ამისათვის ლიმონმჟავა ჩაყარეთ სარეცხი ფხვნილის განყოფილებაში და ჩართეთ მანქანა მაღალ ტემპერატურაზე, რა თქმა უნდა, მასში სარეცხი არ უნდა გქონდეთ. მანქანა ნადებისგანაც გათავისუფლდება და გაქათქათდება კიდეც. ასეთი პროცედურა სამ თვეში ერთხელ უნდა ჩაატაროთ.

◎ ინფორმაცია

დასუფთავების და სადისტრიბუციო მანაქანებს ვიწრო ქუჩებში აკრძალავენ?

თბილისის ქუჩებში პიკის საათებში შესაძლოა დასუფთავებისა და სადისტრიბუციო ავტომობილების გადაადგილება შეიზღუდოს. როგორც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, თბილისის მერიაში ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული მსჯელობა იქნება.

„კონკრეტული მსჯელობა იქნება სადისტრიბუციო და დასუფთავების მანქანებთან დაკავშირებით თუ რამდენად შესაძლებელია ამ მიმართულებით სქემების სხვანაირად გადალაგება. იგივე აზრზე ვრჩები, რომ განსაკუთრებით პიკის საათის პირობებში, ვიწრო ქუჩებში შეიზღუდოს დასუფთავების მანქანების მოძრაობა“, — განაცხადა ნარმანიამ.

200-ლარიან ერთჯერად დახმარებას მიიღებს

23 000-ზე მეტი დევნილი ოჯახი 200 ლარის ოდენობით ერთჯერად დახმარებას მიიღებს. როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ეს არის დახმარება ზამთრის პერიოდში გათბობის მიზნით გამოსაყენებლად.

„23 000-ზე მეტი დევნილი ოჯახი, რომელთაც აქვთ 70 001 ქულაზე ნაკლები სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მიიღებს ერთჯერად დახმარებას 200 ლარის ოდენობით. მათ შეეძლებათ 1 ნოემბრიდან 1 მარტის ჩათვლით დახარჯონ ეს თანხა დენის და გაზის გადასახადისთვის. ეს არის გათბობისთვის დახმარება სახელმწიფოს მხრიდან. ეს შარშან გაკეთდა პირველად და წელს უკვე მეორედ ხორციელდება“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე თქმით, ამ მიზნით ბიუჯეტიდან ოთხნახევარი მილიონი ლარი გამოიყოფა.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

პირადი მდივანი ქალი ქმართან ერთად წევს. ქმარი ეფერება. ცოლი კედლისკენ იწევს:

— მომშორდი, დამაძინე, სამსახურში ისე დავიღალე...

და თავისთვის გაიფიქრა: „მაგისგან!“

* * *

— **დაშა**, როგორია ჩემი ტორტი? ხომ გემრიელია?

— გემრიელია, გემრიელია... იმათთვის, ვისაც გემრიელი არ გაუსინჯავს!

* * *

— **ბრალდებული!** რატომ სცემეთ მეზობელ ბინაში მცხოვრებ მამაკაცს?

— ის ჩუმად ამრავლებს ქათმებს! და ეს ქალაქის ბინაში!

— მერე ამით თქვენ რა დაგიშავდათ?

— სამი თვე ვმკურნალობდი ფსიქიატრთან, რადგან მეგონა, რომ კაკანი ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო.

* * *

ფსიქიატრის კაბინეტში ოთხით შეხოხდა ვიღაც კაცი, რომელსაც კბილებში რაღაც აქვს გაჩრილი.

— ოი, ეს ვინ გვეწვია? კატა? — ამბობს ფსიქიატრი.

მამაკაცი კუთხისკენ გახოხდა. ექიმი უკან მიჰყვება.

— ძაღლი?

მამაკაცი მეორე კუთხისკენ გახოხდა.

— თუ ვითომ ზღარბია? არა? კუ?

უცებ იმ მამაკაცმა კბილებიდან კაბელი გამოიძრო.

— მომშორდი, ვიღაც ოხერი ხარ! ბოლოს და ბოლოს, მომცემ თუ არა ინტერნეტის წყნარად გაყვანის საშუალებას?

◎ ფოტოფაქტი

პარიზში მსოფლიო საავტომობილო სალონი გაიხსნა, რომელიც 19 ოქტომბრამდე იმუშავებს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24